MES 7 20 0000972679

09/10/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 25.09.2020
სხდომის დაწყების დრო: 16:10 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:44 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული (I, II, III, IV, V საკითხები)
სხდომის თავმჯდომარე: დიმიტრი გეგენავა (VI , VII საკითხები)
საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი (IV, V, VI, VII)
სხდომის მდივანი : გიორგი თურქია (I, II, III)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;

3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;
7. **პაატა ბრეკაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით;
8. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი, - სხდომის მდივანი;
9. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
10. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხალმძღვანელი, პროფესორი;
11. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
12. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
13. **რომეო გალდავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,ასოცირებული პროფესორი;
14. **ირმაწერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლოდაწესებულებისწარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	ვახტანგ ლეჟავა		რექტორი	III, IV, V
1.	ნათია სამუშია		პრორექტორი	III, IV, V
1.	მარინა ქარჩავა		პრორექტორი	III, IV, V
	ნუცა ბათიაშვილი			III, IV, V

1.		ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი და შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	სოციალური, ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის დეკანი	
1.	თეო ურუშაძე		აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი	**III, IV, V**
1.	ნატო კობახიძე		სადოქტორო სკოლის კოორდინატორი	**III, IV, V**
1.	ანკა თაბუკაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	**III, IV, V**
1.	მარიამ გაბუნია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი	**III, IV, V**
1.	თამარ გეგეშიძე		აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი	**III, IV, V**
1.	თეა ოდიშვილი		ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი	**III, IV, V**
1.	მარიამ ჯაფარიძე		საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორი	**III, IV, V**
1.	ნინა კულიკოვა		სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი	**III**
1.	ვაჟა ბერეჟიანი		პროგრამის ხელმძღვანელი	**IV**
1.	რევაზ კორაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	**V**
1.	ირმა გრძელიძე		ხარისხის სამსახურის უფროსი	**VI, VII**
1.	მანანა მელიქიშვილი		ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**VI, VII**
1.	ქეთევან ჭკუასელი		განათლების მეცნიერებების დეპარტამენტი	**VI, VII**
	კახა გაბუნია	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის	სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის	**VI, VII**

1.		სახელმწიფო უნივერსიტეტი	მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადება ხელმძღვანელი	
1.	ივა მინდაძე		სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განათლების მეცნიერებები ხელმძღვანელი	**VI, VII**

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	თეა მჭედლური	(ჩაერთო „ზუმით“)	**III**
2	ირინა ნაკაშიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**III**
3	ლევან ციცქიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	**III**
5	რევაზ შანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**IV**
6	ზაზა მელიქიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	**IV**
8	ელინა ბაქრაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**V**
9	ეკატერინე ჩხაიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**V**
10	ინგა ბოჭორიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**V**
11	მარიამ აბულაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**V**
12	გოდერძი ბუჩაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	**VI**
13	გიორგი გახელაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**VII**

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა. ამავე ნორმის საფუძველზე, სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს გიორგი თურქიას.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისა და შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "ბიოლოგიის" ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისა და შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "ფიზიკის" ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისა და შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "ქიმიის" ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების“ ინტეგრირებული საბაკალავრო -სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

შუამდგომლობის ინიციატორი - ლალი ოდიშვილი

ცვლილების არგუმენტაცია - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს2020 წლის22სექტემბრისN876118 და 2020 წლის22სექტემბრისN876116 გადაწყვეტილებების დანართში გამოვლინდა გარკვეული ტექნიკური ხარვეზები, რომელიც მიზანშეწონილია გასწორდეს საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებებით.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის„ინფორმაციული სისტემების მართვა -DevOps“ - ის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის22სექტემბრისN876116 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ საკითხი;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის“საზოგადოებასთან ურთიერთობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის22სექტემბრისN876118 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ საკითხი;
3. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისა და შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "ბიოლოგიის" ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისა და შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "ფიზიკის" ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისა და შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "ქიმიის" ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების“ ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხის განხილვა.

1. **პირველი საკითხი -** ,,შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ინფორმაციული სისტემების მართვა -DevOps“ - ის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 22 სექტემბრის N876116 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ საკითხი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

2. **მეორე საკითხი** - ,,სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის“საზოგადოებასთან ურთიერთობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის22სექტემბრისN876118 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ საკითხი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა ზურაბ გვიშიანმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭომ ერთად განიხილა პირველი და მეორე საკითხები.

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ლალი ოდიშვილმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს2020 წლის22სექტემბრისN876118 და 2020 წლის22სექტემბრისN876116 გადაწყვეტილებების დანართში გამოვლინდა გარკვეული ტექნიკური ხარვეზები, რომელიც მიზანშეწონილია გასწორდეს საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებებით, კერძოდ 2020 წლის22სექტემბრისN876116 გადაწყვეტილებების N1 დანართში არასწორადაა მითითებული პროგრამის დასახელება და არ არის მითითებული აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი, ხოლო 2020

წლის22სექტემბრისN876118 გადაწყვეტილების N1 დანართში და სხდომის ოქმის მე - 3 ნაწილის ცხრილში არასწორადაა მითითებული პროგრამის დასახელება, აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი და კვალიფიკაციის დასახელება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ინფორმაციული სისტემების მართვა -DevOps“ - ის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 22 სექტემბრის N876116 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ საკითხი

მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59 - ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე,გასწორდეს ,,შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ინფორმაციული სისტემების მართვა -DevOps“ - ის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 22 სექტემბრის N876116 გადაწყვეტილების დანართ N1-ში არსებული ტექნიკური შეცდომა და პროგრამის სახელწოდებად მიეთითოს - ინფორმაციული სისტემების მართვა - DevOps ხოლო აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად - 2024 წლის 09 სექტემბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა "სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “საზოგადოებასთან ურთიერთობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 22 სექტემბრის N876118 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ საკითხი

მომხრე:11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59 - ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზეგასწორდეს ,,სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “საზოგადოებასთან ურთიერთობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 22 სექტემბრისN876118 გადაწყვეტილების დანართ N1-ში არსებული ტექნიკური შეცდომა და პროგრამის სახელწოდებად მიეთითოს - “საზოგადოებასთან ურთიერთობა“ , მისანიჭებელ კვალიფიკაციად - საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი; აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად - 2027 წლის 08 სექტემბერი

3. მესამე საკითხი: შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "ბიოლოგიის" ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	

		ბიოლოგიის ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამა
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2015 წლის 03 თებერვლის N18 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ერთობლივი სადოქტორო პროგრამა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიოლოგიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0511 ბიოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	40 (სასწავლო კომპონენტი)
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0159, ქ. თბილისი, კახა ბენდუქიძის კამპუსი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N240
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

4. მეოთხე საკითხი: შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "ფიზიკის" ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკის ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამა
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2015 წლის 03 თებერვლის N18 გადაწყვეტილება

5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ერთობლივი სადოქტორო პროგრამა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0533 ფიზიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	40 (სასწავლო კომპონენტი)
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0159, ქ. თბილისი, კახა ბენდუქიძის კამპუსი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N240
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

5. მეხუთე საკითხი: შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "ქიმიის" ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმიის ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამა
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2015 წლის 03 თებერვლის N18 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ერთობლივი სადოქტორო პროგრამა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0531 ქიმია

12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	40 (სასწავლო კომპონენტი)
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0159, ქ. თბილისი, კახა ბენდუქიძის კამპუსი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N240
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

სხდომას გაუძღვა საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული, ხოლო სხდომის მდივნად აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, განისაზღვრა გიორგი თურქია

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებებს, მათზე თანდართულ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებსა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტებზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

უნივერსიტეტის რექტორი, ვახტანგ ლეჟავა მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს, მან საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა დროის დათმობისთვის და განაცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა „ბიოლოგიის“, „ფიზიკის“ და „ქიმიის“ ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ერთად განხილვა, რადგან საწყისში აღნიშნული პროგრამები არსებობდა ერთი პროგრამის სახით, რომელსაც ერქვა „საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა“, აღნიშნული პროგრამა საკვალიფიკაციო ჩარჩოს ცვლილების გამო დაიყო სამ პროგრამად. ამიტომ, კარგი იქნება, თუ კი საბჭო მხედველობაში მიიღებს საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან პროგრამის შესაბამისობის მიზნით, პროგრამის დაშლის მიზეზს და სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ სამ პროგრამას არ განიხილავს ახალ პროგრამებად.

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თეა მჭედლური მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მან აღნიშნა, რომ შპს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტსა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 12 ივნისს. ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: თეა მჭედლური, ირინა ნაკაშიძე, ლევან ციცქიშვილი და ანი ბილანიშვილი. უნივერსიტეტში იყო მშვიდი, კონსტრუქციული და თანამშრომლობითი გარემო, ექსპერტებს ჰქონდათ საშუალება ობიექტურად შეეფასებინათ აღნიშნული პროგრამა, ყველა დაგეგმილი შეხვედრა შედგა დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის გათვალისწინებით, ექსპერტები შეხვდნენ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, დოქტორანტურის კოორდინატორს. როგორც მან აღნიშნა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, პროგრამის ხელმძღვანელთან ვერ მოხდა გასაუბრება, თუმცა ამას არანაირი გავლენა არ მოუხდენია პროგრამაზე სრულყოფილი წარმოდგენის შექმნაზე. ასევე, როგორც მან აღნიშნა შეხვედრა განხორციელდა პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სადისერტაციო ნაშრომის პოტენციურ ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან. ვიზიტის ფარგლებში მათ დაათვალიერეს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გადამოწმდა ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკაში, სადაც, როგორც მან აღნიშნა იყო ძალიან კარგი სიტუაცია, უნივერსიტეტის წარმომადგენელი ყველა თანამშრომელი იყო ღია და ნაყოფიერად ჩართული ვიზიტის მსვლელობაში, ასევე, ოპერატიულად და პროფესიონალურად იყო დაკმაყოფილებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციები.

როგორც ექსპერტმა აღნიშნა, ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით არსებული ერთობლივი სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, რომელიც მოიცავდა ბიოლოგიის, ქიმიის და ფიზიკის სადოქტორო პროგრამებს და ანიჭებდა აკადემიურ ხარისხს სამი მიმართულებით (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია). მას შემდეგ, რაც კანონმდებლობაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები აღარ არიან უფლებამოსილი, რომ სადოქტორო პროგრამაზე მიანიჭონ ერთზე მეტი კვალიფიკაცია, რეაკრედიტაციის მიზნით, სამივე პროგრამა წარმოდგენილ იქნა დამოუკიდებელი პროგრამების სახით.

როგორც ექსპერტმა აღნიშნა, სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის კრედიტების რაოდენობაა 40 კრედიტი ექსპერტის თქმით, ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს ბიოლოგიაში კვალიფიციური კადრები, რომლებიც შეძლებენ დამოუკიდებლად სამეცნიერო კვლევების განხორციელებასა და სწავლებას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რომელთაც აქვთ საერთაშორისო დონეზე კვლევისა და სწავლების გამოცდილება. დოქტორანტების სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის უზრუნველსაყოფად თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სასწავლო და სამეცნიერო ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილნი არიან თანამედროვე ტექნიკით და ბიო-უსფრთხოების შესაბამისი დონეებით. უნივერსიტეტის ბაზაზე, ბიოლოგიის მიმართულებით მიმდინარე კვლევებში დოქტორანტების ჩართულობა ხელს უწყობს მათ მაღალკვალიფიციურ მკვლევარებად ჩამოყალიბებას და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირებას.

ექსპერტის თქმით, სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს ხუთ სასწავლო კურს (სავალდებულო საგანს) – 25 კრედიტი და სამ სადოქტორო სემინარს -15 კრედიტი. კვლევითი კომპონენტი კი - ინდივიდუალურ სადოქტორო კვლევით პროექტსა და განხორციელების გეგმას, სავალდებულო სამეცნიერო აქტივობებს, სადისერტაციო ნაშრომის შესრულებასა და დისერტაციის დაცვას. კვლევითი გეგმა ინდივიდუალურია და ხორციელდება

ერთი დოქტორანტის მიერ, სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ. სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვებამდე, დოქტორანტი წარადგენს შესრულებულ კვლევით კომპონენტს (კვლევითი ნაწილი I-II- III- IV-V). დოქტორანტურა სრულდება სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვით. სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე დოქტორანტი ვალდებულია წარადგინოს სავალდებულო კომპონენტების დამადასტურებელი დოკუმენტები, ერთ-ერთი მათგანია კვლევითი ნაწილის შესრულებული დოკუმენტაციის წარდგენა და სადოქტორო დისერტაციის წარმატებით დაცვის შემდეგ კურსდამთავრებულს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად, ენიჭება აკადემიური ხარისხი - ბიოლოგიის დოქტორი.

როგორც ექსპერტმა აღნიშნა, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისა და სწავლის შედეგების სისტემატურ ანალიზსა და მონიტორინგს, რაც იძლევა პროგრამის ძლიერი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი სფეროების გამოვლენის შესაძლებლობას და შესაბამისი ზომების დაგეგმვა/გატარებას. ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამის მოდიფიცირებაში ჩართული პირებისა და თვითშეფასების ჯგუფის მიერ, გაანალიზებულ იქნა შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, ასევე გათვალისწინებულ იქნა აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დოქტორანტების, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების მოსაზრებები და რეკომენდაციები, რაც შემდეგ აისახა პროგრამაში და დადებითი შედეგი გამოიღო.

ექსპერტის თქმით, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ერთობლივი რესურსებით იძლევა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამის სრულყოფილ გარემოს, როგორც დარგობრივი კვლევითი და სასწავლო საქმიანობის, ისე, ინტერდისციპლინური კვლევების წარმოებისთვის.

როგორც ექსპერტმა აღნიშნა, ვიზიტის დასრულებისას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა პროგრამის შესახებ ძირითადი მიგნებებისა და ჩამოყალიბებული მოსაზრებების გაცნობა, როგორც უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციისათვის, ისე, პროგრამის ხელმძღვანელებისათვის. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული შეფასების პროცესი ეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამის სიღრმისეულ ანალიზს და დაწესებულების კრიტიკულ მიმოხილვას, ისევე, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესების გზებსა და საშუალებებს. სადოქტორო პროგრამის შეფასების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ პროგრამა შესაბამისობაშია ხუთივე სტანდარტთან, თუმცა მიუხედავად ამისა ექსპერტთა ჯგუფს აქვს 2 რეკომენდაცია და რამდენიმე რჩევა პროგრამის განვითარებისთვის, მაგალითად ერთ-ერთ რეკომენდაციასთან დაკავშირებით „ ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და კრედიტების რაოდენობა მოვიდეს შესაბამისობაში უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან“ თეა მჭედლურმა განმარტა, რომ კანონში ცვლილებამდე დაწესებულებას სადოქტორო პროგრამაში გაწერილი ჰქონდა, რომ სადოქტორო პროგრამა შედგებოდა სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტისგან, სასწავლო კომპონენტი უნდა ყოფილიყო არაუმეტეს 60 კრედიტისა, ხოლო სამეცნიერო კომპონენტზე გათვალისწინებული იყო 120 კრედიტი.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს აინტერესებს არა კანონის შინაარსი, არამედ, განსახილველ პროგრამასთან კანონის შინაარსის მიმართება, კერძოდ, ხდება, თუ არა დისერტაციის ერთჯერადი შეფასება და თუ არ ხდება, აღნიშნული ეწინააღმდეგება თუ არა მოქმედ კანონმდებლობას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასწავლო კომპონენტი მოიცავს 40 კრედიტს, რაც შეეხება დისერტაციის ერთჯერად დაცვას, ამ კუთხით მათ არ აქვთ არანაირი დარღვევა და

შესაბამისად დისერტაცია ფასდება ერთჯერადად. უბრალოდ, დისერტაციის დაცვის შემდეგ, როგორც პროგრამით არის გათვალისწინებული ენიჭება 140 კრედიტი. მისი მოსაზრებით ჩანაწერის ცვლილება, ამოიღონ 140 კრედიტი სრულიად საკმარისი იქნება და სხვა მხრივ პროგრამას არანაირი პრობლემა არ აქვს.

საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ სთხოვა ექსპერტს დაეზუსტებინა, რომ შინაარსობრივი თვალსაზრისით, პროგრამა არ მოდიოდა წინააღმდეგობაში კანონის მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ თუ კი დაწესებულება გააკეთებს ცვლილებას ჩანაწერში კანონთან წინააღმდეგობა არ გვექნება.

ექსპერტის თქმით, მეორე რეკომენდაცია მდგომარეობს შემდეგში: „ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთი მიზანია, მოამზადოს ბიოლოგიის დოქტორი, რომელიც შეძლებს სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, პროგრამაში იყოს არჩევითი სასწავლო კურსი - პროფესორის ასისტენტობა (მათთვის ვისაც არ აქვს პედაგოგიური გამოცდილება). რაც საშუალებას მისცემს დოქტორანტს მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო პროცესში“ აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ინტერვიუების დროს უნივერსიტეტმა დაადასტურა, რომ მათი დოქტორანტები ძირითადად არიან მათი თანამშრომლები და მონაწილებას იღებენ აღნიშნულ პროცესში, უბრალოდ ეს არ არის პროგრამაში ასახული, გარდა ამისა, როგორც მან აღნიშნა, პროგრამაში გაწერილია, რომ როდესაც ხდება ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ჩაბარების უფლება ეძლევა ნებისმიერი განათლების მქონე პირს, მიუხედავად იმისა ის ფლობს თუ არა სამეცნიერო ხარისხს აღნიშნულ დარგში, იმ შემთხვევაში, თუ კი წარმოიშვება რაიმე პრობლემაა და დოქტორანტებს სჭირდებათ დახმარება, მათ ეძლევათ საშუალება კრედიტების მიღების გარეშე გაიარონ შესაბამისი კურსები ორივე უნივერსიტეტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სასურველი იქნებაა თუ კი ასეთ სტუდენტებს დაწესებულება თავისუფალი კრედიტების სახით შესთავაზებს საგნებს და ამ თავისუფალი კრედიტების ფარგლებში აუცილებელია მოიაზრებოდეს პროფესორის ასისტენტობაც, რადგან სხვა შემთხვევაში მას გაუჭირდება პედაგოგიური მოღვაწეობა. როგორც მან აღნიშნა, უნივერსიტეტს მიაჩნია რომ, სასწავლო კურსი „სწავლა უმაღლესი განათლების სისტემაში“ ცვლის პროფესორის ასისტენტობას, თუმცა, როგორც ექსპერტმა აღნიშნა თუ კი ვნახავთ აღნიშნული სასწავლო კურსის სილაბუსს, სწავლის მიზნებისა და შინაარსიდან გამომდინარე შეუძლებელია მან ჩაანაცვლოს პროფესორის ასისტენტობა. ექსპერტის თქმით, სასწავლო კურსი „პროფესორის ასისტენტობა“ დოქტორანტს უვითარებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზების უნარ-ჩვევებს, რაც გულისხმობს სემინარების, ჯგუფური/დამოუკიდებელი მუშაობის, ლაბორატორიული სამუშაოების, პრაქტიკულების ჩატარებას ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

უნივერსიტეტის რექტორმა, ვახტანგ ლეჟავამ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს დეტალური და პოზიტიური შეფასებისთვის, მან პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საქმე ეხება კანონის ინტერპრეტაციას, ერთ შემთხვევაში, სასწავლო კომპონენტი არ უნდა იყოს 60 კრედიტზე მეტი, შესაბამისად დანარჩენი უნდა იყოს სამეცნიერო კომპონენტი, მეორე ინტერპრეტაციის თანახმად, სასწავლო კომპონენტი უნდა იყოს არააუმეტეს 60 კრედიტისა და მეტი კრედიტის მინიჭება არ შეიძლება, რაც მისი მოსაზრებით არასწორი ინტერპრეტაციაა, რაც შეეხება კანონის სულისკვეთების დაცვას, მან განაცხადა, რომ

სამივე პროგრამაზე სასწავლო კომპონენტი არის 60 კრედიტზე ნაკლები, რაც თავსებადია კანონთან და სამეცნიერო კომპონენტში კრედიტების მინიჭება ხდება ერთჯერადად, რაც ასევე გამომდინარეობს კანონის ჩანაწერიდან.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მათ დოქტორანტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სასწავლო პროცესში. მისი თქმით, თუ დაუშვებენ ვარაუდს, რომ საგანი „პროფესორის ასისტენტობა“ იქნება არჩევითი კომპონენტი, ეს ნიშნავს, რომ თუ კი დოქტორანტი აირჩევს ამ კომპონენტს, უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ამ საგნის გავლა, მაგრამ, იქნებ, დოქტორანტს არ აქვს პედაგოგიური მოღვაწეობის ინტერესი, ამ დროს, უნივერსიტეტი ხომ არ დააძალებს აღნიშნული საგნის გავლას, ან იქნებ დოქტორანტს სურდეს წმინდად სამეცნიერო პრაქტიკის გაგრძელება, შესაბამისად, როგორც მან აღნიშნა, ამის დანერგვა არ წაადგება პროგრამას და შესაძლებელია პრობლემებიც კი შექმნას, მისი თქმით, იქედან გამომდინარე, რომ თუ დოქტორანტს ეძლევა უფლება აირჩიოს საგანი „პროფესორის ასისტირება“, ეს ნიშნავს, რომ მას არ უნდა სჭირდებოდეს პროფესორის თანხმობა და უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს აღნიშნული საგნის გავლა, რაც მისი თქმით, შეუძლებელია წინასწარ იყოს განჭვრეტილი, შესაბამისად, როგორც მან აღნიშნა „პროფესორის ასისტენტობის“ კომპონენტი უზრუნველყოფილია ზოგად დონეზე, საგნით „სწავლება უმაღლესი განათლების სისტემაში“. როგორც მან აღნიშნა საგანი „პროფესორის ასისტენტობა“ სავალდებულო ვერ გახდება, რადგან არჩევითი კომპონენტიც კი ნიშნავს რომ ეს არის დოქტორანტის დისკრედიტაცია, მისი თქმით, თუ კი დოქტორანტი აირჩევს ამ საგანს უნდა იყოს აღნიშნული საგნის გავლის შესაძლებლობაც, თუმცა შეიძლება აღნიშნული ვერ განხორციელდეს, თუნდაც პროფესორის მზაობის არარსებობიდან გამომდინარე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თეა მჭედლურმა განაცხადა, რომ როდესაც პროგრამას გაწერილი აქვს მიზნები და შედეგები, მიზნები აუცილებლად შედეგზე უნდა გადიოდეს. პროგრამის მიზნებსა და კონცეფციაში წერია, რომ დოქტორანტს პედაგოგიურთან ერთად უნდა ჰქონდეს სამეცნიერო გამოცდილება. მისი თქმით, დოქტორანტი ამ შედეგზე ვერ გავა თუ კი მას გავლილი არ ექნება საგანი „პროფესორის ასისტენტობა“ . მან აღნიშნა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საბჭომ, თუმცა რაც შეეხება საგნის არსებობას, ის სტუდენტები, რომელიც პარალელურად არიან უნივერსიტეტის თანამშრომლები და აქვთ პედაგოგიური გამოცდილება, მათ ეს საგანი არ ესაჭიროებათ, მაგრამ ვისაც არ აქვს პედაგოგიური გამოცდილება, მათ საგანი „პროფესორის ასისტენტობა“ უნდა შესთავაზონ თავისუფალი არჩევითი საგნის სახით.

დაწესებულების რექტორი, ვახტანგ ლეჟავა ჩაეკითხა ექსპერტს, რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ კი დოქტორანტი არ აირჩევს საგანს „პროფესორის ასისტენტობა“. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ დოქტორანტი, რომელსაც აქვს პედაგოგიური გამოცდილება, რა თქმა უნდა არ აირჩევს აღნიშნულ საგანს. დაწესებულების რექტორმა, ვახტანგ ლეჟავამ დააზუსტა, იმ შემთხვევაში, თუ კი დოქტორანტი არ აირჩევს აღნიშნულ საგანს, გავა თუ არა პროგრამა მიზნებზე. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სტუდენტს, რომელსაც პედაგოგიური გამოცდილება აქვს მას უკვე აქვს ეს უნარ-ჩვევები ჩამოყალიბებული, მაგრამ სტუდენტს, რომელსაც პედაგოგიური გამოცდილება არ აქვს და მიდის აღნიშნულ პროგრამაზე აუცილებლად სჭირდება „პროფესორის ასისტენტობის“ საგნის გავლა. დაწესებულების რექტორმა, ვახტანგ ლეჟავამ განმარტა, რომ „აუცილებელი“ ნიშნავს „სავალდებულოს“, რაც გამორიცხავს ნებაყოფლობითობას, აუცილებელი და არჩევითი ერთმანეთთან მიმართებით კონფლიქტურია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ თუ კი აღნიშნული საგანი იქნებოდა სავალდებულო, ვალდებულება ყველა დოქტორანტზე ერთნაირად გადანაწილდებოდა, მიუხედავად იმისა დოქტორანტს აქვს თუ არა პედაგოგიური გამოცდილება.

დაწესებულების რექტორმა, ვახტანგ ლეჟავამ, განაცხადა, რომ რეკომენდაციაში არ წერია ტერმინი „გამოცდილება“. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ რეკომენდაციაში არსებობს შემდეგი ჩანაწერი წერია „მათთვის ვისაც არ აქვს პედაგოგიური გამოცდილება“.

სადოქტორო სკოლის კოორდინატორი, ნატო კობახიძე მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის, მისი თქმით, ექსპერტები ვიზიტის დროს იყვნენ კეთილგანწყობილნი. მან განმარტა, რომ ყოველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ თვითშეფასების ჯგუფი აკეთებს მიმდინარე პროგრამების (მათ შორის სადოქტორო პროგრამების) ანალიზს. იგი დაეთანხმა რექტორს, რომ მათ ერთმნიშნველოვნად არ ჩაუწერიათ, რომ სასწავლო კომპონენტად არ უნდა იყოს პედაგოგის ასისტენტობა. როგორც მან აღნიშნა, არსებულ დოქტორანტებთან გასაუბრების შედეგად ისინი მივიდნენ იმ აზრამდე, რომ ის ზოგადი უნარები, რომლებიც მიზანთან შესაბამისობაში უნდა ჰქონდეს დოქტორანტურის კურსდამთავრებულს, დოქტორანტი გამოიმუშავებს საგნით „სწავლება უმაღლესი განათლების სისტემაში“. რაც შეეხება იმას, რომ აღნიშნული კომპონენტი გახდეს სავალდებულო-არჩევითი, ისინი არ თვლიან, რომ აღნიშნული კომპონენტი უნდა იყოს სავალდებულო-არჩევითი, რადგან თუ დოქტორანტს აქვს ამის სურვილი მათ თავისუფლად შეუძლიათ აირჩიონ კურსი რომელიც შეთავაზებულია „სწავლება უმაღლესი განათლების სისტემაში“.

ექსპერტი, ირინა ნაკაშიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დეტალურად გაიარა ყველაფერი და ამიტომ აღარ დაკონკრეტდება. მან აღნიშნა, რომ საბოლოო ჯამში, როგორც თეა მჭედლურმა წარმოადგინა, მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდაციებთან მიმართებით იყოს გარკვეული სადავო საკითხები, უნივერსიტეტის შიდა რეგულაციები და არსებული პრაქტიკა, როგორც ვიზიტის დროს დაინახეს, იძლევა ამის საშუალებას, რომ დოქტორანტები ჩართულნი იყვნენ სასწავლო პროცესში, თუმცა როგორ გადაწყვეტილებას მიიღებენ უნივერსიტეტზეა დამოკიდებული, თუმცა ზოგადად აღნიშნა, რომ ეს ვიზიტი იყო ვიზიტი ერთ ევროპულ უნივერსიტეტში, რატომღაც მას აქვს იმის ღრმა რწმენა, რომ მათ მიერ წარდგენილ დოკუმენტაციაში, არსებული სამეცნიერო ბაზების დათვალიერების და დოქტორანტებთან გასაუბრება, იძლევა იმის გარანტიას, რომ პროგრამა იქნება წარმატებული და ეყოლება წარმატებული დოქტორანტები, რომლებიც თავს გაართმევენ ნებისმიერ უნივერსიტეტს, არამარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, მან წარმატებები უსურვა აღნიშნულ პროგრამას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ის რომ „პროფესორის ასისტენტობა“ იყოს არჩევითი ამასთან დაკავშირებით ის ვერანაირ პრობლემას ვერ ხედავს, მისი თქმით, სადოქტორო პროგრამა ძირითადად მკვლევარს უნდა ამზადებდეს და საერთოდ, დოქტორანტს, რომ არ ჰქონდეს სწავლების ტექნიკა გავლილი, თუ მას სურს მასწავლებლობა, თვითონაც, დამოუკიდებლად შეუძლია რომ განივითაროს აღნიშნული უნარი. მან აღნიშნა, რომ თუ კი მიზნებიდან გამომდინარე სასწავლო კურსის „პროფესორის ასისტენტობის“ გავლის გარეშე დოქტორანტი ვერ გადის შედეგზე, რაზეც იყო აპელირება ექსპერტთა ჯგუფისგან, ტექნიკურად გასაგებია ეს მოთხოვნა და რეკომენდაცია უნდა შესრულდეს. პაატა ბრეკაშვილმა განმარტა, რომ ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამაში

აქვთ კვლევითი კომპონენტი და სემინარები, თუმცა რეალურად სადოქტორო პროგრამა მკვლევარის მომზადებას გულისხმობს, სტუდენტს უნდა მიეცეს ორი მხარე: (1) კვლევითი ხელსაწყოები, როგორ ჩაატაროს კვლევა, ხელშეწყობა ლაბორატორიული ბაზების მხრივ; (2) სემინარები, სადაც დოქტორანტები გაეცნობიან თანამედროვე კვლევებს, რაზეც უნდა დააშენონ ახალი ცოდნა. საბჭოს წევრის თქმით, რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, რაც არის წარდგენილი კურიკულუმში, რამდენად აძლევს სრულფასოვან კვლევით ხელსაწყოებს დოქტორანტს, რომ ჩაატარონ კვლევითი პროექტები ამ დარგში. ასევე, სემინარებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ სამივე სილაბუსი თემატურად არ არის შევსებული, მისი თქმით, ხომ არ სჯობს ამ დარგში იყოს ძირითადი თეორიული საფუძველი, რაც ყველა ვარიანტში სჭირდება დოქტორანტს, რომ პირველ ორ სემინარში მაინც გააცნოს ინსტიტუციამ და მესამე სემინარიდან უკვე კონკრეტული თემის მიხედვით ჩამოყალიბდეს. ასევე ის დაინტერესდა ექსპერტების მოსაზრებით რამდენად ჰქონდათ მათ შანსი, რომ გაცნობოდნენ წინა სემინარების სილაბუსებს, რომლებიც უკვე შემდგარი იყო. ასევე, ის დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფი თუ გაეცნო დისერტაციებს, რა კვლევის მეთოდებია გამოყენებული და რამდენად დამაკმაყოფილებელი იყო აღნიშნული კვლების მეთოდების გამოყენება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მათ უნდა გამოეთხოვათ დისერტაციები, მაგრამ გასაუბრების დროს, აღმოჩნდა, რომ ბიოლოგიის მიმართულებით არცერთი დასრულებული დისერტაცია არ ჰქონდათ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კი ისინი გამოითხოვდნენ ფიზიკა-ბიოლოგიის სადისერტაციო ნაშრომებს, ამით ვერ შეაფასებდნენ ბიოლოგიის მიმართულებით რა დონის კვლევები იყო შესრულებული, ამიტომ სადისერტაციო ნაშრომები არ შეუმოწმებიათ. სემინარებთან დაკავშირებით კი ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამაში კარგადა გაწერილი, რომ ეს არის სასწავლო კომპონენტის შემადგენელი ნაწილი და არ მოიაზრება, როგორც კვლევითი კომპონენტის ნაწილი, აქედან გამომდინარე სემინარში მათ აქვთ საკითხები, რომლებიც დეტალურად არ არის გაწერილი, მაგრამ გასაუბრების დროს ექსპერტებმა დააზუსტეს და აღმოჩნდა, რომ ეს სემინარი არ მოიაზრებს კოლოკვიუმს, სამეცნიერო მიმართულებით, დისერტაციის ირგვლივ რაც არის და დოქტორანტთან შეთანხმებით ამზადებენ ისეთ მასალას, რომელიც არ წარმოადგენს ნაშრომის კვლევით ნაწილს, მაგრამ დაეხმარება დოქტორანტის კვლევას და ეს არის წმინდად კვლევითი კომპონენტი.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა დააზუსტა, რომ მისი კითხვა არ ეხებოდა იმას არის თუ არა სემინარი კვლევითი კომპონენტი, ის გულისხმობდა სემესტრის მანძილზე რა შინაარსისგან შედგებოდა სილაბუსი, რას აანალიზებს, რას სწავლობს, რას განიხილავს დოქტორანტი სემინარის დროს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სემინარის დროს ამ მასალას სტუდენტს აძლევს ხელმძღვანელი, სემინარის მასალა სტუდენტის მოთხოვნებისა და დისერტაციის ირგვლივ შესაძლებელია შეიცვალოს, მისი აზრით, ამიტომ არ არის დაკონკრეტებული და ამ ფორმით გაწერილი სილაბუსი და ამ მხრივ სილაბუსი მოუწესრიგებლად არ ჩათვალეს ექსპერტებმა, რადგან შესაძლებელია ეს სილაბუსი სხვადასხვა დოქტორანტისთვის სხვადასხვა საკითხებს მოიაზრებდეს.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ მისი კითხვა გულისხმობდა რა არის სილაბუსის მასალა, რას გადის ყოველ კვირა დოქტორანტი, მას აინტერესებდა რა არის აზრობრივი მასალა და არა ტექნიკურად რა არის გაფორმებული.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს დოქტორანტებს ჰყავთ საკმაოდ კომპეტენტური ხელმძღვანელები, რომლებიც შინაარსობრივად აწვდიან დოქტორანტებს მასალებს და ამის

მიხედვით თითოეული დოქტორანტი ამზადებს სემინარს. კვლევასთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომის ექსპერიმენტული ნაწილის შესრულებისათვის აუცილებელია კვლევის მეთოდების საფუძვლიანი ცოდნა, ამიტომ სასურველია, თუ კი პროგრამას არჩევითი სასწავლო კურსის ფარგლებში პროგრამას დაემატება ექსპერიმენტული კვლევის მეთოდები (არჩევითი მიმართულების მიხედვით). მისი თქმით გასაუბრებისას დოქტორანტებმა დაადასტურეს, რომ რა მიმართულებითაც მათ სჭირდებათ კვლევა, აღნიშნული კვლევის მეთოდებს ხელმძღვანელები მათ ასწავლიან არსებულ ლაბორატორიებში. თუმცა აღნიშნული არ არის გაწერილი პროგრამაში და კრედიტებიც არ ენიჭება.

შესაბამისად, მათ რჩევაში გაწერეს, რომ სასურველი იქნება თუ კი უნივერსიტეტი საჭიროდ ჩათვლის, „თანამედროვე კვლევის მეთოდები“ არჩევითი სახით შესთავაზოს სტუდენტებს. მისი თქმით, დოქტორანტებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ მათი ხელმძღვანელები ლაბორატორიაში მუშაობის დროს კვლევის ყველა მეთოდს ასწავლიან.

სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელმა, ნინა კულიკოვამ განაცხადა, რომ ვიზიტის განმავლობაშიც იყო საუბარი კვლევის მეთოდებზე, როგორც მან აღნიშნა, მათ აქვთ მიდგომა, რომ ის მეთოდები, რაც სჭირდება დოქტორანტს, ვინც ხელმძღვანელობს კვლევას თვითონ ასწავლის უშუალოდ ლაბორატორიაში, ამიტომ ეს პრობლემა ნამდვილად არ არის, ერთად ხდება მსჯელობაც, ახალი მეთოდების შერჩევაც, მისი თქმით, აღნიშნული უფრო მნიშვნელოვანია, რადგან თვითონ სტუდენტები სწავლობენ, როგორ შეარჩიონ ოპტიმალური პროტოკოლი, ხდება უშუალოდ მუშაობა ხელმძღვანელსა და დოქტორანტს შორის.

ექსპერტმა, ირინა ნაკაშიძემ განაცხადა, რომ კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით მას ვიზიტის დროს დოქტორანტებთან ჰქონდა კითხვები, რის შედეგადაც დადგინდა რომ,
მეთოდებთან დაკავშირებით მათი ცოდნა არის ცალსახა, რაც შეეხება რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს, როგორც მან აღნიშნა, ამასთან დაკავშირებითაც დაისვა კითხვები, მაგალითად, როგორ ხდება კონკრეტული დოქტორანტის ნაშრომთან დაკავშირებული პრობლემებიდან გამომდინარე სპეციფიკური მეთოდების შერჩევა, როგორც აღმოჩნდა, დაწესებულება სტუდენტებს ასწავლის ზოგად მეთოდს, რადგან რთულია ბიოლოგიაში და ზოგადად ბიომეცნიერებაში ამ კრედიტების განმავლობაში ყველა მეთოდის ამომწურავად სწავლება, თუმცა ასწავლიან ზოგადი მეთოდიკას რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში და შემდეგ აძლევენ მიმართულებას დოქტორანტის საკვლევი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე.

სოციალური, ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის დეკანმა, ნუცა ბათიაშვილმა განაცხადა, რომ აკრედიტაციის დროსაც დაისვა იგივე კითხვა, რომელზეც უპასუხეს, რომ კურსის მიზანია სტუდენტებს ზოგად აპარატზე ჰქონდეთ წარმოდგენა, რათა სწორად შეარჩიონ ის მეთოდი, რომელზეც იმუშავებენ ხოლო, დანარჩენი მეთოდები სიღრმისეულად ამ ექსპერიმენტულ კონტექსტში ისწავლება.

დაწესებულების რექტორმა, ვახტანგ ლეჟავამ, დააზუსტა, რომ ცალკე საგანი გარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდებისა - კვლევის მეთოდები აქვთ.

სოციალური, ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის დეკანმა განაცხადა, რომ მათ აქვთ სადისერტაციო კვლევა და სამეცნიერო პროექტების მენეჯმენტი, რომელიც ასევე ფარავს კვლევის მეთოდოლოგიურ საკითხებს და ასევე ემსახურება იმ მიზანს, რომ სწორი მეთოდოლოგიური აპარატის შერჩევაში დაეხმაროს დოქტორანტებს.

სადოქტორო სკოლის კოორდინატორმა, ნატო კობახიძემ განაცხადა, რომ სემინარის თემატიკასთან დაკავშირებით, დოქტორანტსა და ხელმძღვანელს შორის ხდება შეთანხმება, ამიტომაც არ არის გაწერილი შინაარსობრივი მხარე სემინარში, მისი თქმით, ცხადია სემინარი თავის მხრივ მოიცავს სამეცნიერო კომპონენტს, რადგან აქცენტები ძირითადად გაკეთებულია სხვადასხვა მიმართულებით სტატიების დამუშავებაზე, ხოლო ის თუ რა რაოდენობის სტატიების დაამუშავებს დოქტორანტი გაწერილია წინასწარ. დოქტორანტები წარმოადგენენ ანგარიშებს, ასევე, სემინარების შეფასება მრავალკომპონენტიანია, რაც სადოქტორო ნაშრომის ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია, ანგარიშების შემდეგ დოქტორანტები წარმოადგენენ პრეზენტაციას საჯაროდ, არა მარტო ხელმძღვანელთან ან სამეცნიერო მიმართულების გარკვეული კომისიის წევრებთან, არამედ, ისინი მთელ უნივერსიტეტს ამცნობენ, საჯარო პრეზენტაციის შესახებ, რომელზე მისვლაც შეუძლია ყველას, დოქტორანტების სემინარზე იმართება დისკუსიები, პრაქტიკულად მთელმა უნივერსიტეტმა იცის რომელი დოქტორანტი რა სემინარს და რა სადისერტაციო თემას ამუშავებს.

საბჭოს წევრმა მანანა კევლიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლების თქმით სადისერტაციო ნაშრომს აფასებენ ერთჯერადად, თუმცა კურიკულუმში არის ჩანაწერი კვლევის ნაწილი 1, 2, 3, 4, 5 და უწერიათ 110 კრედიტი და საბოლოო დაცვაში 30 კრედიტი, რას ნიშნავს ეს და რატომ არის ცალკე გამოყოფილი, რადგან კრედიტს ვერ მიანიჭებენ თუ არ შეაფასებენ.

სოციალური, ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის დეკანმა განაცხადა, რომ მათ ასეთი სისტემა აქვთ ყველა სადოქტორო პროგრამაზე, მისი თქმით, ესეთი მიდგომა არის გამოცდილების შედეგი, რომელიც დოქტორანტებთან მუშაობის შედეგად მიიღეს, ეს გულისხმობს, რომ მათი სამუშაო, რომელსაც ასრულებენ სადისერტაციო ნაშრომამდე შინაარსობრივად არის დანაწევრებული, რომ 3 წლის თავზე ბოლოში არ მოეთხოვოთ სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც საბჭოს წინაშე წარსდგება და აღმოჩნდება, რომ ეს ის არ არის რაც უნდა ყოფილიყო, ამიტომ არის ნაწილებად ჩაშლილი, დოქტორანტი, კვლევის პირველ ნაწილში წარადგენს პროსპექტუსს, შემდეგ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერს, გააჩნია დარგიდან გამომდინარე, დოქტორანტი ამ ნაწილებში არ ფასდება იწერება ჩათვლა/არ ჩათვლა და ეს სამუშაო არ აისახება დისერტაციის შეფასებაში, ანუ რა ქულასაც დისერტაციაში იღებს, ეს პროცესიც არის საჯარო და ამ დაცვებზეც დოქტორანტი წარსდგება გაფართოებული საბჭოს წინაშე და დოქტორანტი იღებს დეტალურ უკუკავშირს, რის საფუძველზეც აგრძელებს მომდევნო ეტაპზე მუშაობას.

საბჭოს წევრმა დააკონკრეტა, რომ მას აინტერესებდა ინფორმაცია 110 კრედიტის შესახებ.

დაწესებულების რექტორმა, ვახტანგ ლეჟავამ, განმარტა, რომ კრედიტების მინიჭება ხდება ერთჯერადად, თუმცა იმისთვის, რომ დაწესებულება კურსი ეჭიროს დოქტორანტის პროგრესზე მათ აქვთ თითოეული ეტაპის შეფასებითი ღირებულება, მაგალითად, თუ კი დოქტორანტმა გადალახა ერთი ეტაპი, დაახლოებით რა მოცულობის სამუშაო ჩაატარა, ანუ მათ ჩაშლილი აქვთ 140 კრედიტი იმ რაღაც ზღურბლებად, რომლებიც უნდა გადალახოს დოქტორანტმა, რომ დაინახოს სად არის ამ პროცესში, ამ დროს კრედიტების მინიჭება ცალკე არ ხდება, უბრალოდ არის შკალა, რომელზეც დოქტორანტიც და დაწესებულებაც ხედავს სამუშაოს რა მოცულობა შეასრულა დოქტორანტმა. მისი თქმით, დაწესებულებამ უნდა იცოდეს სწორი მიმართულებით მიდის თუ არა, თუმცა კრედიტების მინიჭება ხდება ერთჯერადად, ამ ცალკეულ პროცესებში არ ხდება კრედიტების მინიჭება, არის უბრალოდ შკალა, რომელზეც იზომება პროცესი.

საბჭოს წევრმა, რომეო გალდავა დაინტერესდა პროგრამაზე მიღების წინაპირობასთან დაკავშირებით კერძოდ, რამდენად მიზანშეწონილია, რომ ნებისმიერმა მაგისტრმა გააგრძელოს სწავლა ბიოლოგიის, ფიზიკისა და ქიმიის სადოქტორო პროგრამაზე.

ვახტანგ ლეჟავამ განმარტა, რომ ისინი არიან ბოლონიის პროცესში, რაც ასახულია საქართველოს კანონში და რეგულირებადი სპეციალობების გარდა არამარტო დაშვებულია, არამედ ბოლონიის პროცესი ამას ახალისებს, ეს არის ლეგიტიმური მიდგომა, რაც შეეხება კონკრეტულ შემთხვევებს მას ახსენდება კონკრეტული შემთხვევები მაგისტრატურაზე და არა დოქტორანტურაზე.

ნუცა ბათიაშვილმა განაცხადა, რომ მათ ყველა პროგრამაზე აქვთ ასეთი პირობა, რადგან, უნივერსიტეტის სტრატეგიის და ხედვის ნაწილია, რომ არ შეზღუდონ ბოლონიის პროცესი და პროფესიული მობილობა, ასევე, მეორეს მხრივ, ხელი შეუწყონ სხვადასხვა პროფესიებს შორის თანამშრომლობას, მისი თქმით, ცხადია ეს არ გულისხმობს, რომ ისინი ნებისმიერ ადამიანს იღებენ სადოქტორო პროგრამაზე.

ნატო კობახიძემ განაცხადა, რომ მათ ჰყავთ ერთი სტუდენტი თინათინ ქაჩლიშვილი, რომელიც ბიოლოგიის პროგრამის დოქტორანტია, ფიზიკის მაგისტრია, მან თავიდანვე მოიპოვა სადოქტორო დაფინანსება და ამ დაფინანსების ფარგლებში ახორციელებს კვლევას ბიოლოგიის მიმართულებით.

ნუცა ბათიაშვილმა განაცხადა, რომ მათ ჰყავდათ მხატვარი-რესტავრატორი, რომელმაც ქიმიის სამაგისტროზე ჩააბარა.

საბჭოს წევრმა, რომეო გალდავამ განცხადა, რომ მან იგულისხმა შემთხვევა, როდესაც მაგალითად, მოვიდა ფილოლოგი , რადგან მათ უწერიათ გამოცდის შესაძლებლობა, ჰქონიათ თუ არა ასეთი შემთხვევა, რომ მივიდა ფილოლოგი და ჩააბარებინეს გამოცდა ან ჩაუტარეს გასაუბრება და მიიღეს, თუ მხოლოდ ბუნებისმეტყველების ხალხი მიდის.

ნუცა ბათიაშვილმა განაცხადა, რომ ჯერ ასეთი შემთხვევა არ ჰქონიათ, მიღების პროცედურა გულისხმობს შემდეგს, რომ გარდა ზეპირი გამოცდისა ძალიან ვრცელი პროგრამა შეაქვთ აპლიკაციასთან ერთად, ანუ ეს სადოქტორო პროგრამა გულისხმობს, რომ ვინც იქამდე მიდის უკვე ჩამოყალიბებული აქვს ხედვა, იმ კვლევითი თემისა, რომელზეც მას სურს მუშაობა.

პრორექტორმა, ნათია სამუშიამ განაცხადა, რომ კვლევის ნაწილის პროექტის წარმოდგენა არის იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ზოგი პრეზენტაციის სახით აკეთებს და ამ პრეზენტაციას ესწრებიან არა მხოლოდ, შესაბამისი დარგის პროფესორები არამედ, მომიჯნავე პროგრამის აკადემიური პერსონალი, მათ შორის თვითონ პრორექტორიც. მისი თქმით აღნიშნული პროცესი გამოცდაზე უფრო რთულია.

პრორექტორმა განაცხადა, რომ მათ ცოტა დოქტორანტი ჰყავთ და შესაბამისად მათ თითოეული დოქტორანტის ქეისი იციან. მან მოიყვანა ერთ ერთი ჟურნალისტის ქეისი, რომელსაც აინტერესებდა აგრომეცნიერებების მიმართულება. ის 2 წლის განმავლობაში ფაქტიურად თვითონ მეცადინეობდა და დააგროვა ცოდნა, შემდეგ, როდესაც ის მივიდა მათთან, გარდა იმისა, რომ მან მიიტანა კვლევის მონახაზი გაიარა საკმაოდ რთული ეტაპი. მის მიერ წარმოდგენილი კვლევა იყო ძალიან საინტერესო, მას ასევე შეეძლო, ცოდნის გაღრმავების მიზნით, გარდა სემინარებისა, უკრედიტოდ, სხვა პროგრამებზე უფასოდ ევლო და დაეგროვებინა შესაბამისი ცოდნა.

აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანმა, თეო ურუშაძემ განაცხადა, რომ ანა ვეშაგურიძის თემა იყო იმდენად საინტერესო რომ, ერთ-ერთი საჯარო დისკუსიის დროს, რომელსაც ესწრებოდნენ მშენებლები და მექანიზაციის ინჟინერიის წარმომადგენლები, გაკვირვებულები დარჩნენ ახლაგაზრდა ქალბატონს ძალიან ღრმა ცოდნით.
რექტორმა დაამატა, რომ ცხადია ეს არის იშვიათი, როგორც მან აღნიშნა, ზოგჯერ თეორიული გამონაკლისებისათვის, ბევრი გარემოება უნდა დაემთხვეს ერთმანეთს, უნარები, შრომისუნარიანობა, ინტერესი და ა.შ. თუმცა, ტიპიურ შემთხვევებში არის ვერტიკალის გაგრძელება აკადემიურ კიბეზე. ამ შესაძლებლობას პოზიტიურად ანომალიური შემთხვევებისთვის არ კეტავენ.

საბჭოს წევრმა, რომეო გალდავამ, რაოდენობრივ მეთოდებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ კარგი იქნება, თუ კი დაწესებულება სტატისტიკის სწავლებისას მათ გამოადგებოდათ soft - ის სწავლება.

ნატო კობახიძემ განაცხადა, რომ დოქტორანტები სწავლობენ სხვადასხვა სტატისტიკურ მეთოდებს, რომლებიც ჩატვირთული აქვთ უნივერსიტეტის კომპიუტერულ კლასებში, ისინი სწავლობენ, როგორ გამოიყენონ კონკრეტული სტატისტიკური პროგრამა და შემდეგ უკვე საბოლოოდ წარმოადგენენ მათი კვლევიდან გამომდინარე რა სტატისტიკური მეთოდის გამოყენებაა უკეთესი.

რექტორმა განაცხადა, რომ დოქტორანტების სიმცირის გამო, არ არის აუცილებელი ამ ყველაფრის სტანდარტიზება, უბრალოდ შეიძლება რომ ლექტორმა დაუთმოს დრო ცალკე დოქტორანტს და, მაგალითად soft ან სხვა სტატისტიკური მეთოდი ასწავლოს, რომელიც მის კვლევას სჭირდება.

საბჭოს წევრი გაიანე სიმონია დაინტერესდა დაწესებულებას რომელიმე სადოქტორო პროგრამაზე თუ ჰყოლია მედიკოსი

რექტორმა განაცხადა, რომ ერთადერთი ანომალია რაც ჰქონდათ იყო ფიზიკოსი ბიოლოგიაში.

სოციალური, ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის დეკანის თქმით, ფსიქოლოგებსაც და ფილოსოფოსებსაც, რომლებიც ცნობიერებას შეისწავლიან იმათაც სჭირდებათ კვანტური ფიზიკიდან დაწყებული ნეირომეცნიერებებით დამთავრებული ყველაფრის ცოდნა, ამ დაშვების გამო აქვთ აღნიშნული წინაპირობა, რომ შეიძლება მივიდეს არც ბიოლოგი, არც ქიმიკოსი, არც ფიზიკოსი არამედ, ფსიქოლოგი, ან კოგნიტურ მეცნიერებაში რაიმე ცოდნის მქონე ადამიანი, რომელსაც აქვს ეს ინტეგრირებული ცოდნა, მისი თქმით, არა მხოლოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, არამედ ჰუმანიტარული მეცნიერებებიდან კვანტურ ფიზიკამდე ხდება მეცნიერების ინტეგრირება.

ფიზიკის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, ვაჟა ბერეჟიანი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს და განაცხადა, რომ თვითონ ეძებს დოქტორანტებს სხვადასხვა მაგისტრატურაში, რომლებიც დაინტერესდებიან ე.წ. „ოპტიკური ტვიზერით“ ანუ „ოპტიკური პინცეტით“, თუნდაც ვირუსების ჩაჭერა ოპტიკური მეთოდებით და მათი მართვა მომავალში ძალიან სერიოზული დარგი იქნება, რისი გაკეთებაც მათ შეუძლიათ, თან არც ისე ძვირია, არც ტექნიკურად და ასეთ სტუდენტს სიამოვნებით მიიღებენ ამ დარგში.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ უკვე სინთეზისკენ მიდის თეორიული დისციპლინები, როგორც თავიდან იყო, გაიარა დეტალიზაცია და ახლა ერთდება. დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ კვალიფიკაციათა ჩარჩო მიდის საწინააღმდეგო მიმართულებით.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა ნიკა თიკანაშვილი. აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მდივნის ფუნქციის შესრულება დაევალა საბჭოს მდივანს ნიკა თიკანაშვილს.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რევაზ შანიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს და განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნა გააგზავნა დაახლოებით თვენახევრის წინ და როგორც მას ახსოვს აღნიშნულ პროგრამას ყველა კომპონენტში უმაღლესი შეფასება მისცეს, ჰქონდათ მხოლოდ ერთი რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ფიზიკაში უნდა ჩამოყალიბდეს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46.2 „გ“ პუნქტის შესაბამისად. მისი თქმით სხვა რეკომენდაციები არ გაიცა, ვინაიდან ამ უნივერსიტეტს ჰყავს საკმაოდ კარგი პროფესურა, რომლებიც თავის სფეროში არიან ცნობილები საერთაშორისო დონეზე, ამიტომ მათი რჩევაა რომ შეიძლება ამ პროგრამას საერთაშორისო (ინგლისურენოვანი) პროგრამა დაემატოს

მისი თქმით ექსპერტების რჩევაა, რომ თავისი დარგის თანამედროვე მიდგომები შეეტანათ ერთ-ერთი კურსად.

ექსპერტმა, ზაზა მელიქიშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ სრულფასოვნად აღნიშნა საკითხები, შესაბამისად მას არაფრის დამატება არ სურს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

ფიზიკის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელმა, ვაჟა ბერეჟიანმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს მან პირველი რჩევის შესახებ აღნიშნა, რომ მათი უნივერსიტეტი ქართულენოვანია და იმის გამო, რომ ეს მათი ერთ-ერთი მთავარი პრინციპია, ცოტა არ იყოს უცხოენოვანი სტუდენტების მიღება პრობლემატური იქნება, ასევე მეორე რჩევასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მათთან ძალიან ფართოა არჩევანი, რადგან ჰყავთ სხვადასხვა მეცნიერები, მათ შორის მოწვეულებიც და დოქტორანტს, რომელიც თავისი ინტერესებით მიდის, მან ზუსტად იცის რისი კვლევა უნდა, დაწესებულებამ კი ის ასწავლოს რაც ლექტორებმა კარგად იციან გადატვირთავს სტუდენტს, ის საგანი რომელსაც დოქტორანტი ირჩევს, სადაც აპირებს მუშაობას, ის ავტომატურად მაღალ დონეზე მიეწოდება და დამატებით შესაძლოა არ იყოს სასურველი.

რექტორმა განაცხადა, რომ ამის „მოთელვა“ ხდება დოქტორანტურაში მიღებამდე და იქ სიურპრიზები არცერთ მხარეს არ ელოდება, მისი თქმით მათი პერსონალი შეიძლება მართლაც კვალიფიციურია და ასეც არის, თუმცა თავდ ვერავინ ვერ დადებს, რომ ყველა კვლევითი ინტერესი შეიძლება დააკმაყოფილონ ერთნაირად, მანამდე ხდება მოთელვა და მორგება დოქტორანტის ინტერესებსა და იმ კვლევით ინტერესებს შორის, რომელიც ხელმძღვანელს/ხელმძღვანელებს შეიძლება ჰქონდეთ.

ფიზიკის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მესამე რჩევა მისთვის აბსოლუტურად მისაღები და გასაგებია, დოქტორანტს უნდა ჰქონდეს ორი სტატია მაინც, აქედან ერთი მაინც საერთაშორისო იმპაქტ-ფაქტორის მქონე გამოცემებში, დოქტორანტის ძირითადი მუშაობა სრულდება, როდესაც ის წარადგენს დისერტაციას, ეს ხდება ბოლო წელს, როდესაც სტატია გამზადებულია და დოქტორანტს შეუძლია გაგზავნოს, თუმცა გამოქვეყნებას ხომ დიდი დრო სჭირდება, დოქტორანტი ვერ ჩაეტევა დროში, მან აღნიშნა, რომ ერთ დოქტორანტი ჰყავდათ, საკმაოდ კვალიფიციური, რომელმაც დაიცვა დისერტაცია, მან რა თქმა უნდა უკვე გამოაქვეყნა ყველაფერი, მაგრამ დაწესებულება ხომ უყურებს როგორი დისერტაბელურია მისი ნაშრომი, ან საერთოდ რატო უნდა უნდოდეს ვინმეს სადოქტოროს დაცვა ფიზიკაში, თუ ეს არ ექნება იმპაქტ-ფაქტორში გამოქვეყნებული სტატია ვერსად დაიწყებს მუშაობას, რადგან კონკურსია და ეს თუ არ აქვს ვერსად გაიკვლევს გზას, როგორც დოქტორი. ჟურნალში გამოქვეყნებას სჭირდება დიდი დრო და ბოლოსკენ ხდება ხოლმე, მათმა დოქტორანტმა უკვე გამოაქვეყნა სტატიები, რომლებიც წარდგენილი ჰქონდა და დაწესებულებამ განიხილა თავის დროზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წარმომადგენელმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ მას იგივე კითხვები აქვს ინსტიტუციის წარმომადგენლების მიმართ, უბრალოდ, ექსპერტებმა ახსენეს, რომ სასურველი იყო დაემატებინა თანამედროვე ცოდნა რა დარგშიც იყო წარმოდგენილი ხელმძღვანელი. იგი დაინტერესდა ექსპერტი რას გულისხმობენ ამ ფრაზაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ფიზიკის პროგრამა პირველად გადის აკრედიტაციას ამ ფორმით, მან პირველი აკრედიტაცია გაიარა, როგორც ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის საერთო პროგრამის სახით, აღნიშნული პროგრამისთვის სასწავლო კომპონენტში იყო ერთი საგანი „სტატისტიკა“, რომელიც ბიოლოგებისა და ქიმიკოსებისთვის საკმარის დონეზე იყო, ხოლო ფიზიკოსებისთვის გაცილებით იოლი იყო, მათი აზრით, თუნდაც პროგრამის ოპტიმიზაციის გაკეთებისთვის, არ არის აუცილებლობა, რომ სტატისტიკა იყოს იმ ფორმით, რომლითაც ახლა არის ფიზიკოსებისთვის ან სხვა სპეციალობებისთვის, რადგან ის დონე არ შეესაბამება დოქტორანტურის დონეს.

საბჭოს წევრმა დააზუსტა, გულისხმობენ თუ არა კვლევის მეთოდებს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ეს იყო საგანი, რომელიც სასწავლო კომპონენტში შედიოდა.

საბჭოს წევრმა დაამატა, რომ „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“ ჰქვია და რეალურად არის Advance statistics.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს არ იყო Advance statistics, მას Advance ვერ უწოდებს, ეს იყო სტატისტიკა ბიოლოგებისთვის, ქიმიკოსებისა და ფიზიკოსებისთვის ერთად და იყო საკმაოდ საშუალო დონეზე მიწოდებული, ისე რომ გაეგო ოს ფიზიკოსმაც, მაგრამ, მას აქვს წარმოდგენა, რომ აღნიშნულ უნივერსიტეტში ყველაზე კარგი ბავშვები მიდიან და ყველაზე კარგ უნივერსიტეტში აბარებენ მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში, მისი აზრით, სტატისტიკის ეს კურსი, არ არის სათანადო დონის ფიზიკოსებისთვის.

საბჭოს წევრი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, მისი პოზიცია გასაგებია და დაინტერესდა არის თუ არა დარგში საჭიროება, რომ სემინარში რაღაც დოზით გაიწეროს

შინაარსი, აისახოს ფიზიკის რაღაც ფუნდამენტური მიმართულებები, რომელიც ყველა ფიზიკოსმა უნდა იცოდეს სადისერტაციო სადისერტაციო კვლევითი ინტერესების მიუხედავად. თუ ჯობია იყოს თავისუფალი სემინარები და ყველამ თავისით აირჩიოს მიმართულება, ასევე, ინსტიტუციამ ახსენა, რომ დაცულია ერთი დისერტაცია და ჰქონდათ თუ არა ექსპერტებს საშუალება გაცნობოდნენ მას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რა თქმა უნდა ჰქონდათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ დოქტორანტს, ექსპერტებს ჰქონდათ საშუალება მას გასაუბრებოდნენ ვიზიტის განმავლობაში.

ექსპერტმა, ზაზა მელიქიშვილმა განაცხადა, რომ იგი დაესწრო დასკვნასა და სემინარებს, ის გაეცნო დოქტორანტის ნაშრომს, აღნიშნული ნაშრომის დაცვის პროცესი იყო საკმაოდ სასიამოვნო სანახავი, რადგან ჩატარდა ძალიან მაღალ დონეზე.

ფიზიკის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელმა საგნის დამატებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სტატისტიკა, რომელიც ისწავლება ფიზიკოსებისთვის უფრო მარტივად ჩანს, ვიდრე სხვებისთვის, თუმცა აქ გასათვალისწინებელია ბოლონიის პროცესი, ისინი თვლიან, რომ შესაძლებელია მივიდეს სტუდენტი, რომელიც არ არის ფიზიკოსი, ასეთებიც ხდება ხოლმე და ასეთ შემთხვევაში გამოვა ისე, რომ ის საგანი, რომელიც ყველასთვის უნდა იყოს გარკვეულ დონეზე მას არ ეცოდინება, მისი თქმით, იმის დაშვება, რომ ფიზიკოსი მაგისტრანტი მივა აუცილებლად არასწორია, ყოფილა ასეთი შემთხვევები, როდესაც გენიოსები არიან და აპირებენ ფიზიკის სერიოზულ სწავლას და დონეც ძალიან კარგი აქვთ.

რექტორმა განმარტა, რომ მათემატიკური აპარატი, შესაძლებელია ბევრად უკეთ ჰქონდეთ განვითარებული ვიდრე ამ სტატისტიკას სჭირდება, რომელიც აბსოლუტურად ცალკე ხილი და ამას პლიუს soft-ები, რომლებიც შესაძლებელია საერთოდ არ გამოუყენებია არასდროს, ზოგადად, მათემატიკაში ბევრად მეტი იციან ხოლმე, ვიდრე სტატისტიკაში, მაგრამ სტატისტიკა კიდევ ცალკე ინსტრუმენტია, რომელიც შეიძლება არ ჰქონდეთ კარგად ნასწავლი მაგისტრატურაში ან არ ქონდეთ გამოყენებული კვლევაში.

სოციალური, ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის დეკანის თქმით, ისიც გათვალისწინებულია, რომ შეიძლება ეს soft-ები არ აქვთ ნასწავლი და კონტექსტის გათვალისწინებით ამის ალბათობა შესაძლებელია დიდი იყოს.

რექტორმა აღნიშნა, რომ მათემატიკის ცოდნა შეუძლებელია ბევრად მეტი არ ჰქონდეთ ვიდრე ამისთვის არის საჭირო, ისე ვერ გახდება აღნიშნული ინსტიტუციის დოქტორანტი. სადოქტორო სკოლის კოორდინატორმა განაცხადა, რომ კვლევაში როგორ გამოიყენონ ეს soft-ები, ეს არის მთავარი.

უნივერსიტეტის რექტორმა დაამატა, რომ დოქტორანტებს ამის გამოცდილება შესაძლებელია საერთოდ არ ჰქონდეთ, მიუხედავად იმისა მათემატიკაში ძალიან მაგრები იყვნენ, იცოდნენ ალბათობაც და თეორიულად სტატისტიკაც, მაგრამ გამოყენებითი სტატისტიკა და research statistics ცალკე ხილია.

სადოქტორო სკოლის კოორდინატორმა აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულმა სტუდენტმა საკმაოდ დიდი სიამოვნებით მოისმინა რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და მის კვალიფიკაციასა და უნარებში ეჭვი არავის ეპარება, და ამ საგანმა მას შესძინა საკმაოდ ბევრი რამ.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა.

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ელინა ბაქრაძემ განაცხადა, რომ ვიზიტმა სამუშაო ატმოსფეროში ჩაიარა და უნივერსიტეტის მხრიდან იყო მაქსიმალური ხელშეწყობა და მზაობა ვიზიტის სრულყოფილად განსახორციელებლად, დღე კი დასრულდა უკუკავშირის გაზიარებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბდა 4 ტიპის რეკომენდაცია და აქვთ 10 რჩევა.

წარდგენილია შემდეგი რეკომენდაციები:

1. დამსაქმებლების მეტი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებასა და განხორციელებაში, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით;
2. სადოქტორო სემინარი I, სადოქტორო სემინარი II და სადოქტორო სემინარი III სწავლის შედეგებში გათვალისწინებული იქნას დარგის სპეციფიკა და დაკონკრეტდეს, რომელი სასწავლო კურსი, რა სწავლის შედეგზე გადის;
3. სასურველია პროგრამა მოვიდეს შესაბამისობაში უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან.
4. პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა გადახედოს ორი სასწავლო კურსის შინაარსს („სადისერტაციო ნაშრომის შესრულება“ და „რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს“), რათა თავიდან იქნას აცილებული სასწავლო კურსების საკითხების გადაფარვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია და განაცხადა, რომ მესამე რეკომენდაციაზე, რომელზეც უკვე ბევრი იმსჯელეს აღარ გაემახვილებინათ ყურადღება.

რექტორმა, ვახტანგ ლეჟავამ განაცხადა, რომ რეკომენდაცია 1-თან დაკავშირებით გასაგებია სურვილი, დამსაქმებელი უკეთ იყოს ჩართული პროგრამის მიზნების ფორმირებაში, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული სურვილი უნდა იყოს ორმხრივი, როგორც მან აღნიშნა, ერთ-ერთი მთავარი დამსაქმებლის პროტოტიპი არის თვითონ დაწესებულება, მათი კურსდამთავრებულები/დოქტორები მუშაობენ მათთან, ამიტომ დაწესებულებას რაც უნდა პროგრამისთვის წარმოდგენილ პროგრამაშივეა ასახული, ამის მეტად ფორმალიზება მას რთულად წარმოუდგენია, თუმცა ესმის მოტივაცია რომ აკრედიტაციის პროცესისთვის დამსაქმებელი სხვა უნდა იყოს და პროგრამის მიმწოდებელი სხვა, თუმცა, როგორც მან აღნიშნა, რეალური ცხოვრება სხვაა.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სემინარი 1, 2, 3 მათ არ უნდა დაინახონ, როგორც იერარქიული საგნები, რომ საჭიროა ერთ დაძლიოს სტუდენტმა, რათა გადავიდეს მეორეზე/მესამეზე, ეს არის თემატურად სხვადასხვა სემინარი, რომლებსაც აქვს ნუმერაცია განსხვავებისთვის, დოქტორანტების კვლევების ვარიაციები ძალიან ბევრია, თეორიულად კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე და ხელმძღვანელის ინტერესებიდან გამომდინარე, ამიტომ ამის უფრო ზუსტად გაწერა რთული იქნება, ისე რომ არ შეიზღუდოს მომავალი დოქტორანტების კვლევითი ინტერესები.

რაც შეეხება მესამე რეკომენდაციას მან განაცხადა, რომ რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და კვლევის მეთოდები, ერთ შემთხვევაში ძალიან მარტივი სხვაობაა, არის ინსტრუმენტების

გაცნობა დოქტორანტებისთვის და მეორე შემთხვევაში არის ზოგადი სამეცნიერო კვლევის თეორიული ჩარჩო.

სადოქტორო სკოლის კოორდინატორმა, ნატო კობახიძემ განაცხადა, რომ ისინი გულისხმობენ კვლევის მომზადებას, დიზაინს, მეთოდოლოგიას, სტრუქტურას, ეს არის სამეცნიერო კვლევის მომზადება და კვლევის მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებით უკვე ბევრი ისაუბრეს, მისი თქმით, აბსოლუტურად განსხვავებული და ცალ-ცალკე საგანია სადისერტაციო კვლევის მომზადება და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, ერთი სტატისტიკური კვლევის მეთოდებს ასწავლის და მეორე დიზაინს.

სოციალური, ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის დეკანმა, ნუცა ბათიაშვილმა განაცხადა, რომ უფრო მარტივად, რომ აიხსნას, ერთი რაოდენობრივი მეთოდების კურსია და მეორე კი მეთოდოლოგიური ჩარჩოს დამუშავების უფრო პრაქტიკაზე ორიენტირებული კურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:00
დასრულების დრო: 18:37

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და კენჭისყრა

ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის 7 წლის ვადით მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -12
წინააღმდეგი - 0

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, თუმცა ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებში შეიტანა გარკვეული ცვლილებები, კერძოდ, დაამატა ერთი რეკომენდაცია, ხოლო, ერთი რეკომენდაცია გადაიტანა რჩევებში.

საბოლოოდ კი დაწესებულების მიერ შესასრულებელი რეკომენდაციები გამოიყურება შემდეგნაირად:

ა) პროგრამის კურიკულუმში ფორმალიზდეს და დაემატოს დარგობრივი კვლევის მეთოდები.
ბ)„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს“. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადოქტორო პროგრამა მოსაყვანია შესაბამისობაში კანონმდებლობასთან.

რჩევები:

ა) ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ერთ - ერთი მიზანია, მოამზადოს ბიოლოგიის დოქტორი, რომელიც შეძლებს სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, პროგრამაში იყოს არჩევითი სასწავლო კურსი - პროფესორის ასისტენტობა (მათთვის ვისაც არ აქვს პედაგოგიური გამოცდილება). რაც საშუალებას მისცემს დოქტორანტს მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო პროცესში.

ბ) ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში არაა ჩანაწერი აკადემიური ან/და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპებსა და მის დაცვაზე, რომელთა გათვალისწინების უგულებელყოფა თითქმის შეუძლებელია თანამედროვე სამეცნიერო კვლევებში;

გ) ა (ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში პროგრამაზე ჩარიცხვის პირობებში ჩანაწერი: „ინგლისური ენის არანაკლებ B1 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი მოწმობა“ (მუხლი 4) დაზუსტდეს და მოვიდეს შესაბამისობაში ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამასთან, სადაც პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ითხოვს ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნას ან დამადასტურებელი მოწმობის წარდგენას;

დ)პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამამ უზრუნველყოს თავისუფალი კომპონენტების არჩევითობა;

ე) სადისერტაციო ნაშრომის ექსპერიმენტული ნაწილის შესრულებისათვის აუცილებელია კვლევის მეთოდების საფუძვლიანი ცოდნა. ამიტომ, სასურველია, პროგრამას არჩევითი სასწავლო კურსის ფარგლებში დაემატოს ექსპერიმენტული კვლევის მეთოდები (არჩევითი მიმართულების მიხედვით);

ვ) მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან ქვეყნის წამყვანი მეცნიერები, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, განვითარების მხრივ, სასურველი იქნება თუ მოწვეულ მეცნიერებს შორის ვიხილავთ მეცნიერებს მსოფლიოს სხვადასხვა წამყვანი უნივერსიტეტებიდან და ს/კ ცენტრებიდან.

ზ) თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიოლოგიის ერთობლივი სადოქტორო პროგრამა შექმნილია ძლიერ სამეცნიერო - კვლევით ბაზაზე, რაც ხელს უწყობს უნივერსიტეტში ბიოლოგიის მიმართულებით მნიშვნელოვანი კვლევების განხორციელებას, ამიტომ პროგრამის გაძლიერებისა და განვითარებისთვის სასურველია კიდევ უფრო მეტი საერთაშორისო და/ან ადგილობრივი კვლევითი გრანტის მოზიდვა და მათში დოქტორანტურის სტუდენტების მაქსიმალური ჩართულობა;

თ) პროგრამის მონიტორინგის და პერიოდული შეფასების (აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვ) საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების ამსახველი დოკუმენტის შემუშავება.

გადაწყვეტილება:

“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის,3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "ბიოლოგიის" ერთობლივ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

ფიზიკის სადოქტორო პროგრამა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,ფიზიკის“ ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის 7 წლის ვადით მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -13
წინააღმდეგი - 0

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, თუმცა ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებში შეიტანა გარკვეული ცვლილებები, კერძოდ, დაამატა ერთი რეკომენდაცია, ხოლო, ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციას შეუცვალა ფორმულირება.

საბოლოოდ კი დაწესებულების მიერ შესასრულებელი რეკომენდაციები გამოიყურება შემდეგნაირად:

ა)პროგრამის კურიკულუმში ფორმალიზდეს და დაემატოს დარგობრივი კვლევის მეთოდები;

გ)„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს“. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადოქტორო პროგრამა მოსაყვანია შესაბამისობაში კანონმდებლობასთან.

გადაწყვეტილება:

“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,ფიზიკის“ ერთობლივ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

ქიმიის სადოქტორო პროგრამა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,ქიმიის" ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის 7 წლის ვადით მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -13
წინააღმდეგი - 0

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოს მე - 2 სტანდარტი, ნაცვლად, „მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა როგორც - „შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან". შესაბამისად საბჭომ ორი რეკომენდაცია გადაიტანა რჩევებში, ერთი რეკომენდაცია დაამატა, ხოლო ერთ რეკომენდაციას შეუცვალა ფორმულირება.

საბოლოოდ კი დაწესებულების მიერ შესასრულებელი რეკომენდაციები გამოიყურება შემდეგნაირად:

ა) პროგრამის კურიკულუმში ფორმალიზდეს და დაემატოს დარგობრივი კვლევის მეთოდები;
ბ) სადოქტორო სემინარი I, სადოქტორო სემინარი II და სადოქტორო სემინარი III სწავლის შედეგებში გათვალისწინებულ იქნას დარგის სპეციფიკა და დაკონკრეტდეს, რომელი სასწავლო კურსი, რა სწავლის შედეგზე გადის;
გ) „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მეორე პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს". აღნიშნულიდან გამომდინარე, სადოქტორო პროგრამა მოსაყვანია შესაბამისობაში კანონმდებლობასთან.

რჩევები:

ა) დამსაქმებლების მეტი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებასა და განხორციელებაში, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით;
ბ) პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა გადახედოს ორი სასწავლო კურსის შინაარსს („სადისერტაციო ნაშრომის შესრულება" და „რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს"), რათა თავიდან იქნას აცილებული კურსების საკითხების გადაფარვა";
გ) პროგრამის სწავლის შედეგების მეტად ადაპტირება ქიმიის დარგთან და იმ ძირითადი შედეგების გამოკვეთა, რომლის მიღწევაც არის დაგეგმილი სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის;
დ) სასურველია პროგრამის მიზნებში უნარებთან ერთად, განისაზღვროს ცოდნის ის საკითხები, რომლებსაც პროგრამა რეალურად აძლევს სტუდენტებს;
ე) სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გამოვიყენოთ აქტიური ზმნები და ბლუმის ტაქსონომია. (დ. კენედის „სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და დანერგვა").

ვ) სასურველია ქიმიის ერთობლივი სადოქტორო პროგრამის კურიკულუმის (სწავლის შედეგების) რუკაზე გაიწეროს რომელი სასწავლო და კვლევითი კომპონენტი რა დონით ავითარებს კონკრეტულ სწავლის შედეგებს (1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება);
ზ) სასურველია დაკონკრეტდეს სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები;
თ) სასურველია საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავდეს თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში არჩევითობას;
ი) ლაბორატორიებისა და აღჭურვილობის სტანდარტების დაცვა გადამწყვეტი იქნება პროგრამის განხორციელება/განვითარებაში და ახალი დოქტორანტების მოსაზიდად, აქედან გამომდინარე აუცილებელია უნივერსიტეტის მდგრადი მხარდაჭერა;
კ) სასურველია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ტექნიკური შეცდომის შემცირება;
ლ) სტუდენტების/კურსდამთავრებულების ჩართულობის უზრუნველყოფა თვითშეფასების პროცესში;
მ) პროგრამის თვითშეფასების ჯგუფში აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ჩართულობის უზრუნველყოფა

გადაწყვეტილება:

“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის
ქიმიის ერთობლივ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

18:38 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა დიმიტრი გეგენავა, საბჭოს სხდომა დატოვა ირაკლი ბურდულმა.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი გეგენავა.

6. მეექვსე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მულტილინგვური განათლება-დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების“ ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის

		მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	№ 247; 17.12.2019
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო
7	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	დაწყებითი ქართული, როგორც მეორე ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება I - IV კლასი, ჩემი საქართველო V-VI კლასი
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300 ECTS
11	განხორციელების ადგილი	თსუ მე-7 კორპუსი, ქეთევან წამებულის გამზ. 55, თბილისი, 0196. საქართველო
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა ირმა წერეთელმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშს და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტმა გოდერძი ბუჩაშვილმა განაცხადა, რომ ის ასევე იმყოფებოდა განსახილველი პროგრამის აკრედიტაციაზეც, მისი თქმით, ეს არის უნიკალური პროგრამა მულტილინგვური 300 კრედიტიანი მასწავლებლის მომზადების პროგრამა, რომელიც აზერბაიჯანელ, სომეხ საქართველოს მოქალაქეებს ამზადებს იმისათვის, რომ სკოლაში შევიდნენ, ქართული ენით გაამდიდრონ განათლება და ხელი შეუწყონ მის განვითარებას.

მან ნახა ძალიან კარგი სტუდენტები, რომლებმაც ძალიან მაღალ დონეზე იცოდნენ ქართული, ისინი ძალიან კარგად ფლობდნენ ქართულ ლიტერატურას და საუბრობდნენ ქართულად. როგორც მან აღნიშნა ზოგიერთი რეკომენდაცია იყო ტექნიკური ხასიათის. ის ანგარიშის შესწავლის ფარგლებში გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, რომელიც წარმოდგენილი იყო რეკომენდაციების შესრულების მტკიცებულებებად.
ექსპერტმა რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა :

რეკომენდაცია 1: სილაბუსებში გადაიხედოს უცხოენოვანი სავალდებულო ლიტერატურა და განისაზღვროს წინაპირობები ან უზრუნველყოფილ იქნას ქართული თარგმანი და მისი არსებობის შესახებ ინფორმაცია მიეთითოს სილაბუსებში, ამ საგანში „სოციოკულტურული სწავლების კომპეტენციები“ სილაბუსში შეცვლილია რიდერით და ლიტერატურა წარმოდგენილია ამ კუთხით, აღმოფხვრილია ეს საკითხი, თუმცა „აზერბაიჯანული ენა 1“ და „აზერბაიჯანული ლიტერატურა ქართულენოვნებისთვის“ ისევ შეხვდა უცხოენოვანი ლიტერატურა, შესაბამისად რეკომენდაცია ჩათვლილია, როგორც მეტწილად შესრულებული;

რეკომენდაცია 2: მეტი გამჭვირვალობისთვის პრაქტიკის დოკუმენტი უნდა მოიცავდეს სტუდენტების გადანაწილების მექანიზმებთან ერთად, პრაქტიკის, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებსაც, ექსპერტის თქმით, აღნიშნული რეკომენდაცია ჩაითვალა როგორც შესრულებული;

რეკომენდაცია 3: დაინერგოს მესამე - ე.წ. პრაქტიკის შერეული მოდელი. მართალია პროგრამას აქვს ჩაშენებული პრაქტიკა, თუმცა რეკომენდებულია დაემატოს დამოუკიდებელი პრაქტიკის კომპონენტი და გაიზარდოს ჯამურად პრაქტიკის კრედიტები; პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს პრაქტიკის ისეთი დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნება, როგორც სტუდენტთა პრაქტიკის ადგილებზე გადანაწილების, ასევე პრაქტიკის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასებს მექანიზმები, ექსპერტის თქმით აღნიშნული რეკომენდაცია ჩაითვალა როგორც შესრულებული.

რეკომენდაცია 4: ცალკე არსებობდეს კურსი პირობითად „შეფასების სისტემა დაწყებით საფეხურზე“ და ენობრივი შეფასების კურსი გადავიდეს ენის სწავლების ნებისმიერ სილაბუსში; ეს კურსი აუცილებლად უნდა მოიცავდეს განმავითარებელ და განსმსაზღვრელ შეფასებას და დიფერენცირებული მიდგომის საკითხებს; ექსპერტის თქმით, ბიბლიოთეკაში უზრუნველყოფილია ამ საკითხის შესაბამისი ლიტერატურა, შესაბამისად რეკომენდაცია შესრულებულად ჩაითვალა.

რეკომენდაცია 5: გადაიხედოს მოდული „საქართველოს განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები“ და შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან, აღნიშნული რეკომენდაციაც ჩაითვალა, როგორც შესრულებული.

რეკომენდაცია 6: სასკოლო ეთიკის საგანი დაემატოს ცაკლე მოდულად, ხოლო კლასის მართვა, ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხები და ასევე გამჭოლი კომპეტენციები დაემატოს სასწავლო გეგმას სავალდებულო საგნებში, ამ კუთხით მისი მოსაზრებით, სასკოლო ეთიკის შესახებ ინფორმაცია შეტანილია სასწავლო კურსში „სასწავლო და პროფესიული გარემო“ ამასთან, თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით სავალდებულო კურსებში (სასწავლო გეგმის დიზაინი; პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, სასწავლო და პროფესიული გარემო) გადანაწილებული და ასახულია კლასის მართვისა და ბავშვთა მიმართ ძალადობის გამჭოლი კომპეტენციები, აღნიშნული ცვლილების შესწავლის მიზნით უნივერსიტეტიდან დამატებით გამოთხოვილ იქნა დოკუმენტაცია, თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვერ იქნა მოძიებული ჩამოთვლილი სასწავლო კურსების სილაბუსები, აქედან გამომდინარე, ვერ დგინდება აღნიშნული რეკომენდაცია რამდენად არის სრულად გათვალისწინებული, შესაბამისად რეკომენდაცია ჩათვლილია, როგორც მეტწილად შესრულებული.

რეკომენდაცია 7: ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესში შევიდეს ცვლილება სამაგისტრო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით და მოვიდეს იგი საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის N3 ბრძანებასთან შესაბამისობაში, ექსპერტის თქმით რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად.

რეკომენდაცია 8: პროგრამის სილიაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის ხელმისაწვდომობა უნდა უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო პროცესის განხორციელების მისამართზე ან ელექტორნული ბიბლიოთეკის საშუალებით, ექსპერტის თქმით, აღნიშნული რეკომენდაცის ჩაითვალა როგორც შესრულებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

თსუ-ის ხარისხის სამსახურის უფროსი, ირმა გრძელიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარდგენისათვის, მან განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამა მართლაც უნიკალურია, რადგან მსგავსი საქართველოში არ არსებობს და ერთადერთია, მან აღნიშნა რომ ყურადღებას გაამახვილებს იმ რეკომენდაციაზე, რომელიც ექსპერტის თქმით მეტწილადაა შესრულებული.

ირმა გრძელიძემ ყველა სილაბუსში ლიტერატურის ცვლილებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ, მას განმახორციელებელ პერსონალთან ჰქონდა ძალიან ინტენსიური კომუნიკაცია და ის რიდერები, რომელთა მომზადებაც ამ პერიოდისთვის შესაძლებელი გახდა, უკვე მომზადდა და ეს ეტაპობრივად ყველგან იქნება ჩანაცვლებული, თუმცა ამ მიმართულებით პედაგოგი ხშირად ამბობს ხოლმე, რომ ლიტერატურა, რომელიც მას აქვს მითითებული ძალიან ეფექტურია სწავლების პროცესში, ამიტომ გარკვეულწილად დაწესებულება მიდის იმ მიმართულებით, რომ შედეგი აუცილებლად დადგეს, რომელიც სტუდენტებში არის ძალიან კარგი მათი კომპეტენციის თვალსაზრისით და ამავდროულად დაწესებულება მუშაობს, რომ მოამზადონ შესაბამისი სახელმძღვანელოები, რომელიც ამას კიდევ უფრო მეტად გააუმჯობესებს. რაც შეეხება რეკომენდაციას კურსების დამატების შესახებ, მისი თქმით, ფაკულტეტმა და პროგრამამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეს არ იყოს დამოუკიდებელი კურსები და აღნიშნული კურსები ჩაშენებული იყოს სხვადასხვა კურსში.

მან ასევე აღნიშნა, რომ აღნიშნული ცვლილებები ნამდვილად განხორციელდა, წარდგენილია ფაკულტეტის გადაწყვეტილებაც და ალბათ ტექნიკური ხარვეზია, რომ სილაბუსებში არ არის ასახული.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მან დასკვნა გააკეთა ფაკულტეტის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, თუმცა მას უნდოდა აღნიშნულის ვიზუალური დადასტურება. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, კახა გაბუნიამ განაცხადა, რომ მისთვისაც გაუგებარია, რადგან ცენტრში ნამდვილად გააგზავნეს განახლებული სილაბუსები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ მიიღეს თუ არა დაწესებულებიდან ყველა სილაბუსი. ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ გამოგზავნილია სილაბუსების ნაწილი, ხოლო ყველა წარმოდგენილი სილაბუსი გაუზიარდა ექსპერტს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სილაბუსები, რომლებიც დაწესებულებიდან გამოთხოვის შემდეგ მიიღო ცენტრისგან, იყო იგივე, რაც მას ანგარიშის შესწავლის მიზნით დასაწყისში გაუზიარდა. სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტმა სიტუაცია სამართლებრივად სწორად შეაფასა, რადგან თვითიმედოვნებით ვერ გააკეთებდა დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 18:57

დასრულების დრო: 18:59

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების“ ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების“ ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

7. მეშვიდე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	განათლების მეცნიერებები
2		-

	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	N262 19.12.2019
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების მეცნიერებების მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120 ECTS
11	განხორციელების ადგილი	საქართველო 0179, ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N11ᵃ, თსუ მე-3 კორპუსი
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა ირმა წერეთელმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტი, გიორგი გახელაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მან განაცხადა, რომ ანგარიშის დასკვნის წერის დროს ის ხელმძღვანელობდა უშუალოდ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულების მიერ წარდგენილი ანგარიშით და მასზე თანდართული დოკუმენტაციით. როგორც მან აღნიშნა, რომ გაცემული იყო ექვსი რეკომენდაცია, აქედან შესრულებულია ორი - რეკომენდაცია 4 და 5, მეტწილად შესრულებულია - რეკომენდაცია 1 და 2, ნაწილობრივ შესრულებულია - რეკომენდაცია 3 და არ არის შესრულებული - რეკომენდაცია 6.

რეკომენდაცია 1: სასწავლო კურსებით განსაზღვრულ სავალდებულო თუ დამატებითი ლიტერატურა ხშირ შემთხვევაში უცხოურ ენაზეა წარმოდგენილი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ფაკულტეტმა შეძლოს დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიება აღნიშნული მასალების თარგმნის უზრუნველსაყოფად, ვინაიდან ენის კომპეტენცის დონიდან გამომდინარე, სტუდენტებისთვის სირთულეს წარმოადგენს წარმოდგენილი ლიტერატურის ათვისება, ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2020-2021 წლიდან სამაგისტრო პროგრამაზე მიღება მოხდება ინგლისური ენის კომპეტენციის დადასტურებით B2 დონეზე, დასტურდება, რომ მიღების პროცედურა შესრულებულია და უხსნის პრობლემას ინგლისურენოვან ლიტერატურასთან დაკავშირებით, თუმცა ფორმალურად არ ჩანს მანამდე ჩარიცხულ სტუდენტებს როგორ გაეწევათ დახმარება ინგლისურ ენაში, შესაბამისად რეკომენდაცია მიჩნეულია, როგორც მეტწილად შესრულებული

რეკომენდაცია 2: უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამაში „კვლევის მეთოდები 1“ და „კვლევის მეთოდები 2“ განსხვავებების წარმოჩინება და მეტი პრაქტიკული დეტალების ინტეგრირება, განსაკუთრებით შეფასების კომპონენტებში, ეს ნაწილი შესრულებულია. ასევე რეკომენდირებული იყო, რომ დაიხვეწილიყო შეფასების კრიტერიუმები და დაზუსტდებულიყო დავალების ტიპები. წარმოდგენილ სილაბუსებით ვერ დგინდება რა ტიპის დავალებების შესრულება უწევთ სტუდენტებს შუალედურ და დასკვნით წერილობით გამოცდებზე, რა ცოდნას ამოწმებს დასკვნითი გამოცდის ზეპირი ნაწილი, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილდეს პრეზენტაცია. აღნიშნული საგნების გარდა, დეტალურად გაიწეროს შეფასების რუბრიკების თუ დავალების ტიპები სხვა სასწავლო კურსებშიც სტანდარტი 2.6-ის მიხედვით, წარდგენილ თანდართულ დოკუმენტებში იყო ამ ორი საგნის სილაბუსი, რომლებშიც ნამდვილად არის შესრულებული, თუმცა არ ჩანს შესრულდა თუ არა სხვა კურსებში, შესაბამისად მიჩნეულია, როგორც „მეტწილად შესრულებული“;

რეკომენდაცია 3: მნიშვნელოვანია მოხდეს სამაგისტრო თემის ხელმძღვანელის მიერ მაგისტრანტის მუშაობის პროცესის სათანადო დოკუმენტირება. შესაბამისად, შემუშავდეს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მუშაობის წესი, რომლის საფუძველზეც წარმოჩინდება თემაზე მუშაობის პროცედურები/ეტაპები, ხელმძღვანელის მიერ მიწოდებული რეკომენდაციები, ასევე სტუდენტის მუშაობის პროგრესი. აღნიშნული დოკუმენტი იქნება მყარი მტკიცებულება სტუდენტებისთვის იმ შემთხვევაში თუ ხელმძღვანელის რეკომენდაციით თემა არ გადის საჯარო დაცვაზე. საერთო ჯამში, აღნიშნული პროცესის დახვეწა ხელს შეუწყობს ხარისხიანი სამაგისტრო თემის მომზადებას და სტუდენტების მოლოდინების განსაზღვრას, რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია. კერძოდ, შესრულებულია სამაგისტრო თემაზე მუშაობის პროცესის ზოგადი აღწერა, რომელიც მოიცავს: სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციებს, თემის არჩევისა და საჯარო დაცვაზე დაშვების წინაპირობებს; არ არის შესრულებული: სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მუშაობის წესის აღწერა, „რომლის საფუძველზეც წარმოჩინდება თემაზე მუშაობის პროცედურები/ეტაპები, ხელმძღვანელის მიერ მიწოდებული რეკომენდაციები, ასევე სტუდენტის მუშაობის პროგრესი.“ ასევე, „სამაგისტრო თემის ხელმძღვანელის მიერ მაგისტრანტის მუშაობის სათანადო დოკუმენტირების“ აღწერა. წარმოდგენილია დოკუმენტი

„თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის წარდგენის, დაცვისა და შეფასების პროცედურა“, რომლის სამართლებრივი სტატუსის დადასტურება არ იკითხება წარმოდგენილ ოქმებში და არ იძებნება თსუ-ს ვებ-გვერდზე. ამ დოკუმენტში შინაარსში ასახულია აღნიშნული რეკომენდაციის მოთხოვნები, თუმცა არ არის დაზუსტებული და ცხადი მასში ნახსენები „წინაწარი დაცვა“, ან „წინასწარი განხილვა“ როდის და ვის მიერ ხორციელდება, შესაბამისად მიჩნეულია, როგორც „ნაწილობრივ შესრულებული“;

რეკომენდაცია 4: მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დამატებით აკადემიური პერსონალის მობილიზება სამაგისტრო თემების ხელმძღვანელობის მიზნით. არსებული დატვირთვა არარელევანტურია და იმოქმედებს სამაგისტრო ნაშრომების ხარისხზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გადაიხედოს სამაგისტრო ხელმღვანელების დატვირთვა. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა ხელმღვანელების დივერსიფიკაცია, ასევე თითოეულ ხელმღვანელზე მიმაგრებული სტუდენტების რაოდენობის შემცირება, მიჩნეულია, როგორც შესრულებული.

რეკომენდაცია 5: პროგრამის ფარგლებში ჩაემატოს ბავშვთა უფლებების კოდექსი, რომელიც მიმართულია ბავშვთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისაკენ, მიჩნეულია, როგორც შესრულებული.

ექსპერტის თქმით, თვითონ წინა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციებიც არ იყო კონკრეტული. რაც შეეხება შეუსრულებელ რეკომენდაცია 6-ს „საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები“ და „საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები“ წაკითხულ იქნეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე იურისტის მიერ. ვინაიდან, აღნიშნული საგანი შეიცავს სფეროს სამართლებრივ საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხებს. შესაბამისად, აუცილებელია აღნიშნული კურსი წაიკითხოს შესაბამისი კვლიფიკაციის მქონე იურისტმა, მისი თქმით აღნიშნული რეკომენდაცია არ არის შესრულებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

თსუ-ს ხარისხის სამსახურის უფროსმა, ირმა გრძელიძემ განაცხადა, რომ არც მაშინ და არც ახლა არ ეთანხმება მეექვსე რეკომენდაციას. დაწესებულებამ მაშინვე მიიჩნია, რომ უარს იტყოდნენ რეკომენდაციის შესრულებაზე, რადგან პროგრამის განვითარების მრავალწლიანი გამოცდილება ცალსახად მიუთითებს იმას, რომ ის შედეგი, რომელიც დგება პროგრამის დასრულების შემდეგ პედაგოგის ძალიან კარგი კომპეტენციის შედეგია და ფაქტობრივად ეს კურსი იკითხება არამარტო სამართლებრივ ჭრილში, არამედ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული დოკუმენტები განათლების მეცნიერების მაგისტრებისათვის, შესაბამისად როგორც ექსპერტმა აღნიშნა ეს რეკომენდაცია არ იყო გაცემული ექსპერტთა ჯგუფის მიერ, ეს იყო საბჭოს ერთ-ერთი წევრის მიერ გაკეთებული რეკომენდაცია, მაშინაც საბჭოზე დიდიხანი იკამათეს აღნიშნულ რეკომენდაციაზე და მაშინაც თქვეს, რომ ამ რეკომენდაციის შესრულება გაუჭირდებოდათ/ვერ შეასრულებდნენ. რაც შეეხება რეკომენდაცია 1 და 5-ს, რომელიც ექსპერტმა ნაწილობრივ შესრულებულად ჩათვლა მათ, ამ საკითხთან დაკავშირებით მოამზადეს ანგარიშიც და გააგზავნეს ცენტრში. დაწესებულების აზრით ყველა რეკომენდაცია არის სრულად შესრულებული, ისინი თვლიან, რომ სწორად წავიდნენ მათ შესრულებაში, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც შეცვალეს მიღების წინაპირობა, რაც შეეხება წინა სტუდენტებს, ეს ეხება ინგლისურენოვანი ლიტერატურის გამოყენებას, მათ ძალიან ბევრი ექსტრაკულიკულარული აქტივობა უტარდებათ და აქვთ

მხარდაჭერა იმისთვის, რომ საბოლოო ჯამში იგივე შედეგზე გავიდეს, რომელზეც გავა დღევანდელი პირველკურსელი პროგრამის დასრულების შემდეგ.

განათლების მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, ივანე მინდაძემ მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ეს არ იყო ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია. მისი თქმით, ამ კურსში არის კონცეპტუალური ცვლილებები, რა ხდება განათლების სისტემაში, რა შეიცვალა, რა გამოწვევები და პრობლემები არსებობს, ამ ყველაფრის აღწერა არის აღნიშნული კურსის მიზანი და პირველ რიგში პედაგოგიურ და განათლების პოლიტიკის კუთხით უყურებენ ამ საკითხს და უყურებენ თუ რა იცვლებოდა განათლების სისტემაში, რაც იწვევდა შესაბამისი დოკუმენტებისა თუ სისტემის ცვლილებას, კონცეპტუალურად მნიშვნენელოვანია, რომ განათლების ექსპერტი კითხულობდეს ამ კურსს და საბედნიეროდ, უნივერსიტეტში ჰყავთ ისეთი გამორჩეული ადამიანები, ვისაც სადისერტაციო ნაშრომიც სწორედ ამ სფეროში აქვთ დაცული, მათ ძალიან კარგად მიჰყავთ ეს კურსი. რაც შეეხება, ინგლისური ენის საკითხს, შეიცვალა მიღების წინაპირობა, უკვე მიიღეს B2-ის ცოდნით დადასტურებული სტუდენტები და შემდეგი 5 წლის განმავლობაში ასე გაგრძელდება. ამ წლის მაგისტრებს კი, ყველას აქვს ინგლისური ენის კურსის გავლის შესაძლებლობა, რაც დასკვნაშიც წერია, გარდა ამისა პედაგოგებს შორის შიდა შეთანხმებაა, რომ გაუწიონ კონსულტაცია იმ სტუდენტებს, რომლებმაც არ იციან ინგლისური სათანადო დონეზე, ამიტომ მისი თქმით, ეს რეკომენდაცია შესრულებულია და პრობლემა მომავალში არ უნდა იყოს ამ საკითხთან დაკავშირებით. სამაგისტრო საფეხურებთან დაკავშირებით კი დასკვნაშიც წერია, რომ ვებგვერდზე არ იძებნება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი, თუმცა ეს უკანასკნელი განთავსებულია საიტზე.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მანანა მელიქიშვილმა დაადასტურა, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი, რომელიც დამტკიცდა ფაკულტეტის საბჭოზე, დევს საიტზე.

რაც შეეხება შესრულებულ რეკომენდაციებს, ორი რეკომენდაცია სრულად შესრულებულია და არის ერთი მეტწილად შესრულებული რეკომენდაცია, რომელიც ეხება სილაბუსებში შეფასების სისტემის და დავალებების ტიპების აღწერას, დაწესებულების აზრით ესეც შესრულებულია, რადგან ექსპერტმაც აღნიშნა, რომ ცოტა ბუნდოვანი იყო დასკვნა, რომელ სილაბუსებს გულისხმობდნენ, რომელიც აღნიშნული იყო დასკვნაში ყველა წარდგენილია და ექსპერტიც დაეთანხმა, რომ ყველაფერი რიგზეა, ასე, რომ დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით ექვსიდან ხუთი რეკომენდაცია სრულად არის შესრულებული, დარჩენილი ერთი კი არ არის შესრულებული რადგან არ ეთანხმებიან.

განათლების მეცნიერებების დეპარტამენტის წარმომადგენელმა, ქეთევან ჭკუასელმა მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება პრინციპულად ვერ იზიარებს აღნიშნული რეკომენდაციის შინაარსს. ექსპერტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული კურსი აუცილებლად განათლების სპეციალისტებმა უნდა წაიკითხონ, მაგრამ აქცენტი გააკეთა, რომ თუ შეიცვლება სათაური და დაერქმევა განათლების პოლიტიკა, მაშინ ყველაფერი გასწორდება, ქეთევან ჭკუასელმა განმარტა, რომ ეს კურსი არსებობს დაახლოებით 15 წლის განმავლობაში და მისი ცენტრალური მიმართულება არ არის განათლების პოლიტიკის სწავლება, მისი მიმართულებაა ისეთი დოკუმენტების სწავლება, როგორებიცაა: ეროვნული სასწავლო გეგმა, განათლების ეროვნული მიზნები, მასწავლებლის დარგობრივი მახასიათებლები, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი და ცხადია ეს დოკუმენტები იქმნება განათლების პოლიტიკის შესაბამისად. მისი მოსაზრებით განათლების მუშაკისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, რომ მას თითოეული დოკუმენტი ჰქონდეს შესწავლილი და თავად გააკეთოს ის დასკვნა, ვინაიდან პოლიტიკის რაღაც ნაწილები შესაბამისი რეფორმების შედეგად

მუდმივად ცვლადია იმ ზოგადი დიდი კურსის გარდა, ამდენად ვერანაირად გაიზიარებენ, რომ საგანს არ ერქვას სამართლებრივი საფუძვლები, მისი თქმით, ნებისმიერმა ინსტიტუციამ რომ იფუნქციონიროს მას სჭირდება კანონი ზოგადი განათლების შესახებ, ეროვნული სასწავლო გეგმა და ეროვნული სასწავლო მიზნები, სწორედ ეს არის მთავარი და მნიშვნელოვანი, ამიტომაც დაარქვეს საგანს სამართლებრივი საფუძვლები.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროფესიიდან გამომდინარე იძულებულია ჯერ თვითონ გამოთქვას აზრი, განსაკუთრებით ბოლოს საკითხთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ განათლების სამართალი, როგორც სამართალი ნასწავლიც აქვს და განათლების სამართლის წაკითხვაც შეუძლია, რადგან პრაქტიკაშიც მოღვაწეობდა და სასამართლოშიც წარმოადგენდა, როგორც ცენტრს, ასევე მის წინააღმდეგაც არაერთი საქმე მოუგია, თუმცა პრინციპულად დაეთანხმა ქეთევან ჭკუასელს, რომ წარმოდგენილი სილაბუსი იურისტის წასაკითხი საქმე არ არის და სათაურს რაც შეეხება, განათლების სამართლის სილაბუსი თვითონაც აქვს შედგენილი და აბსოლუტურად სხვა რაღაცას ეხება, იურისტებს აბსოლუტურად სხვა რაღაც აინტერესებთ. განათლების პოლიტიკა, როგორც პოლიტიკა აბსოლუტურად სხვა რაღაცაა და საერთოდ სამართლებრივი საფუძვლები და დოკუმენტები მას ნაკლებად აინტერესებს, განათლების პოლიტიკას აინტერესებს სამართლებრივი დოკუმენტები როგორ იქმნება და იქ რა უნდა ჩაიწეროს, ანუ შექმნის პრინციპი და დაგეგმვის პროცესის პოლიტიკა იმპლემენტაციის სამართლებრივი საფუძვლებია. სხდომის თავმჯდომარემ აქვე აღნიშნა, რომ თვითონ არ არის განათლების მეცნიერი, ის არის განათლების მენეჯმენტის პრაქტიკოსი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და განათლების სამართლის პრაქტიკოსი იყო წლების განმავლობაში, როგორც ადვოკატი და წარმომადგენელი, ამიტომ მისი პირადი მოსაზრებაა, რომ აღნიშნულ საგანთან დაკავშირებით სახელწოდებას პრობლემა ნამდვილად არ აქვს და ზუსტად ის ჰქვია, რაც უნდა ერქვას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ გაიზიარა ქეთევან ჭკუასელის პათოსი ბოლო რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ის აბსოლუტურად დაეთანხმა დიმიტრი გეგენავასაც, რადგან ის საკითხები, რომლებზეც ქეთევან ჭკუასელმა ისაუბრა, იგივე ეროვნული სასწავლო გეგმა, ეროვნული მიზნები, ზოგადსაგნობრივი სტანდარტი და ა.შ. ეს მართლაც არ არის იურისტის წასაკითხი და ზოგადად ამას სჭირდება, ძალიან გამოცდილი განათლების მუშაკი, რომელსაც პრაქტიკული გამოცდილება აქვს სკოლაში მუშაობის, ამიტომ ბოლო რეკომენდაციასთან დაკავშირებით იზიარებს დაწესებულების პოზიციას. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სადაც საუბარია დამატებითი ფინანსური რესურსის მოძიებაზე, ლიტერატურის თარგმნასთან დაკავშირებით, მან დაწესებულებას ურჩია გააკეთონ განაცხადი აშშ-ის საელჩოს საგრანტო კონკურსში, რომელიც ცხადდება წელიწადში ორჯერ და არის ძალიან კარგი გრანტები ლიტერატურის თარგმნასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ერთია, რომ აღნიშნული პროგრამის სტუდენტმა წაიკითხოს ეს ყველაფერი ინგლისურად, თუმცა ეს არის ის ლიტერატურა, რომელიც განათლების სფეროს სხვა მუშაკებისთვის, მასწავლებლებისთვის, სკოლაში მომუშავე პერსონალისთვის არის ძალიან საინტერესო და თუ კი ეს ქართულ ენაზე ხელმისაწვდომი გახდება, ძალიან კარგი იქნება. ასევე, გურანდა ჭელიძე დაინტერესდა სამაგისტრო ნაშრომის დებულებასთან დაკავშირებით, მისთვის ცოტა ბუნდოვანია დებულების ჩანაწერი სამაგისტრო ნაშრომის ერთჯერად დაცვასთან დაკავშირებით.

თსუ-ს ხარისხის სამსახურის უფროსმა, ირმა გრძელიძემ განაცხადა, რომ სრულიად ეთანხმება დიმიტრი გეგენავას და ქეთევან ჭკუასელმაც ახსენა, რომ სილაბუსი და კურსი ცალსახად არ არის განათლების პოლიტიკა და ვისაც უმუშავია ამ მიმართულებით ნამდვილად შეუძლია

თქვას, რომ ეს ცალსახად ემიჯნება განათლების პოლიტიკის საკითხს, რაც შეეხება საკითხს ვინ წაიკითხავს და ვის უფრო უკეთესი კომპეტენცია აქვს ამ მიმართულებით, რა თქმა უნდა ექსპერტს, რომელსაც დიდი გამოცდილება აქვს განათლებაში და აქვს სამართლის კვალიფიკაცია, თუმცა მათ მიერ წარდგენილი კანდიდატი, რომელიც წლებია კითხულობს არის საკმაოდ მაღალკვალიფიციური და შედეგი, რომელიც დგება კურსის დასრულების შემდეგ არის ძალიან კარგი. რაც შეეხება ლიტერატურის თარგმნას, ცალსახად შეუძლია თქვას, რომ იქმნება სახელმძღვანელოებიც, ითარგმნება ლიტერატურაც, აშშ-ის საელჩოს მიერ გამოცხადებული გრანტი, როგორც წესი, არის ხოლმე ამერიკული ლიტერატურის თარგმნაზე მიმართული, მაგალითად წიგნი, რომელსაც გადიან ხარისხის უზრუნველყოფის სამართალში, არის ფრანგი ავტორის მიერ ინგლისურ ენაზე გამოშვებული წიგნი EENQA-ს მხარდაჭერით, მისი თქმით, აშშ-ს საელჩო ამ წიგნის თარგმნას ვერანაირად ვერ დააფინანსებს, რადგან ამერიკული ლიტერატურა არ არის, სხვა შემთხვევებში შესაძლებელია იმ ლიტერატურის ადაპტაცია, რომელიც არის წარდგენილი, თუმცა ისევ მის სილაბუსს რომ მიუბრუნდეს, ხარისხის უზრუნველყოფა სრულიად განსხვავებულად არის გაგებული ამერიკულ უნივერსიტეტებში და ვერსად ვერ იპოვიან ერთეულს, რომელიც ამაზე მუშაობს.

სამაგისტრო ნაშრომის ერთჯერად შეფასების ბუნდოვანებასთან დაკავშირებით კი ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ, როგორც უკვე ივანე მინდაძემ განაცხადა, არსებობს წინა დაცვა, რომელზეც არ გასვლა, ამ ვალდებულების არ დაკმაყოფილება ხდება წინაპირობა იმისა, რომ სადიპლომო ნაშრომს სტუდენტი ვერ დაიცავს და შეფასება ხდება ერთჯერადად.

განათლების მეცნიერებების დეპარტამენტის წარმომადგენელმა, ქეთევან ჭკუასელმა განცხადა, რომ რეცენზენტის შეფასება არ გამოიხატება ქულით, ანუ ზუსტად ისე ხდება, როგორც სადოქტორო დისერტაციის დაცვისას, ანუ პასუხისმგებლობას თავიდან ბოლომდე იღებს კომისია, ხელმძღვანელი აუცილებლად წერს დასკვნას, შემდეგ იმართება ჩვეულებრივი დისკუსია, აღნიშნული პროცესი წელს პირველად განახორციელეს და ძალიან ღელავდნენ, თუ როგორ მოახერხებდა კომისია ადეკვატური აზრის შექმნას, ეს იყო ერთიანი შეფასება და ეშინოდათ, რომ კომისია შესაძლებელია რაღაცეებში შემცდარიყო, თუმცა კომისიამ ძალიან კარგად იმუშავა, რასაც არ ელოდნენ და შეფასებებიც იყო ადეკვატური თანაც ეს პროცესი მიმდინარეობდა „ზუმის“ გამოყენებით. თითო სტუდენტს დასჭირდა 40 წუთი, შეიძლება 1 საათიც. რაც შეეხება წინასწარ დაცვას, აღნიშნული ტარდება ძალიან ხისტად, ჩვეულებრივ გამოიცემა ბრძანება, სადაც წინასწარი და ძირითადი დაცვის ვადებია განსაზღვრული. როდესაც არის შემთხვევა, რომ სტუდენტს სურს თავისი სამაგისტრო ნაშრომის დაცვის გადატანა, ის ვერ გადაიტანს თუ კი ის არ არის გასული წინასწარ დაცვაზე, და ემატება სემესტრი, მისი თქმით, წინასწარ დაცვას სერიოზული ყურადღება ენიჭება.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მანანა მელიქიშვილმა დაამატა, რომ მას შემდეგ რაც ერთჯერადად ხდება სამაგისტრო ნაშრომის შეფასება, სამაგისტრო ნაშრომის შინაარსზე წარმოდგენა აქვთ არა მხოლოდ რეცენზენტს არამედ კომისიის ყველა წევრს, ვინაიდან ისინი არიან პასუხისმგებელი ერთიან შეფასებაზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:35
დასრულების დრო: 19:42

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საბჭოს სხდომა დასრულდა 19:44 საათზე

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
გეგენავა დიმიტრი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
თურქია გიორგი